

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო
უნივერსიტეტი

აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

მერაბ ბოლქვაძე

საქართველოს საბანკო სექტორის კაპიტალიზაცია და
მდგრადობა

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ლაშა ბერიძე, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასოცირებული
პროფესორი

ხიჭაური

ანოტაცია

საბანკო სექტორი ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი რგოლია, რომელსაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის. საბანკო სექტორის მდგრადი განვითარებისათვის კაპიტალიზაცია ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. პრობლემები და გამოწვევები, რომლებიც საქართველოს საბანკო სექტორის კაპიტალიზაციასა და მდგრადობას თან ახლავს, წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთი განხილვის საგანია, სადაც განხილულია საბანკო რეგულირებისა და მონიტორინგის საკითხი. საქართველოს საბანკო სექტორის ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს კაპიტალიზაცია. რაც უფრო მეტია კაპიტალიზაციის დონე მით უფრო მდგრადია საბანკო სექტორი. კაპიტალიზაცია ესაა კაპიტალის მოცულება, რომელიც განისაზღვრება საბაზრო ღირებულებით. კაპიტალიზაციის ზრდა არა მარტო საწარმოების ფინანსურ პრობლემებს გადაჭრის, არამედ იგი ახდენს სხვადასხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტების დანაზოგების ფორმირებას. კაპიტალიზაციის მაჩვენებელი არის ბანკის საქმიანობაზე ზემოქმედების გამომხატველი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. კაპიტალიზაციის შეფასებით ხდება კომერციული ბანკების საბაზრო რეიტინგის განსაზღვრა. იგი მის საკრედიტო მიზიდულობის პირობას ქმნის. კაპიტალიზაცია აგრეთვე არის ინვესტიციური მიმზიდველობის მაჩვენებელი. დანაზოგების ტრანსფორმირება ინვესტიციებში კაპიტალიზაციის მაჩვენებელია და არის ძალიან მნიშვნელოვანი, რამდენადაც მის ზომასა და მასშტაბებზეა დამოკიდებული ეკონომიკის განვითარება. საბანკო სექტორის მდგრადობა გადამწყვეტია საბაზრო ეკონომიკის სხვა ფინანსური ინსტიტუტებისთვისაც. ქვეყნის ეკონომიკაზე რეალურად ზემოქმედების ფაქტორებიდან განსაკუთრებული ადგილი უკავია საბანკო სისტემის ფუნქციონირების ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის პირობების განსაზღვრას.

annotation

Banking sector is one of the leading spheres of economy, which is making one of the most important role for sustainable development of the country's economy. The capitalization of the banking sector's sustainable development is one of the essential conditions. Problems and challenges that accompany the capitalization and sustainability of the Georgian banking sector are one of the topics of discussion of the present paper, which discusses bank regulation and monitoring. One of the challenges of the Georgian banking sector is capitalization. The more capitalization level of the banking sector is the more sustainable. Capitalization is amount of a capital that is determined by market value. The growth of capitalization not only solves the financial problems of the enterprises, but also creates the savings of various public institutions. Capitalization indicator is one of the most significant factors affecting the bank's activity. Capitalization estimates are defined by the market value of commercial banks. It creates a condition for its credit gravity. Capitalization is also an investment attractiveness index. Transformation of savings is an indicator of capitalization in investments and is very important, since the size of the economy depends on its size and scale. Sustainability of the banking sector is crucial for other financial institutions of the market economy. From the actual impact factors of the country's economy, there is a special place in determining the conditions for ensuring financial sustainability of the banking system.

სარჩევი

შესავალი -----	5
თავი I საბანკო სექტორის მნიშვნელობა ეკონომიკისათვის. -----	7
1.1 საბანკო სექტორი, როგორც ფინანსური ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი-----	7
1.2 კომერციული ბანკების სახეობები და საქმიანობის სპეციფიკა-----	12
1.3 საბანკო სექტორის როლი ქვეყნის განვითარებაში-----	19
თავი II საბანკო საქმიანობის სტაბილურობა. -----	24
2.1 მსოფლიო ფინანსური კრიზისების არსი-----	24
2.2 საბანკო საქმიანობის რეგულირება და გამონწვევები-----	31
2.3 საბანკო სექტორის კაპიტალის დაფინანსების საერთაშორისო პრაქტიკა-----	37
თავი III საქართველოს საბანკო სექტორის მდგრადობა. -----	45
3.1 კომერციული ბანკების კაპიტალიზაციის თავისებურებები საქართველოში---	45
3.2 საბანკო სექტორის რეგულირება და მონიტორინგი-----	52
3.3 უცხოური კაპიტალის მოზიდვის შესაძლებლობა და პერსპექტივები-----	59
დასკვნები და რეკომენდაციები. -----	66
გამოყენებული ლიტერატურა -----	71

შესავალი

თემის აქტუალობა. საბანკო სექტორს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკისათვის, ვინაიდან იგი ასრულებს ყველაზე ეფექტიანი შუამავლის როლს კრედიტორებსა და მსესხებლებს შორის. ასე რომ განვითარებული საბანკო სექტორი ნიშნავს განვითარებულ ეკონომიკას.

საქართველოს თანამედროვე განვითარების პერსპექტივებმა ობიექტურად მოითხოვა საბანკო სისტემის როგორც ფინანსური სისტემის შემადგენელი ნაწილის მეცნიერული კვლევის გაღრმავება და საბანკო ურთიერთობების სფეროში სტაბილურობისა და მდგრადობის უზრუნველყოფის მართვის მეთოდების ახალი რეალობების მეცნიერული დამუშავება. ამდენად, საბანკო სისტემის მდგრადობისა და ფინანსური სტაბილურობის პრობლემების მეცნიერული შესწავლა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს.

კვლევის მიზანი და ამოცანები. საბანკო სისტემა წარმოადგენს საკრედიტო-საფინანსო სისტემის უმნიშვნელოვანეს სახეს და ქვეყნის ეკონომიკაში ერთ-ერთი უმსხვილესი დამსაქმებელია. ბანკი განსაკუთრებული ინსტიტუტია, რომელიც ახორციელებს ფულადი სახსრების აკუმულირებას, ფულის ემისიას და ანგარიშსწორებას.

კვლევის მიზანია აჩვენოს საბანკო სექტორის მნიშვნელობა და როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, ხოლო ამოცანაა წარმოაჩინოს თუ როგორაა შესაძლებელი საბანკო სისტემის განვითარების საშუალებით ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპის დაჩქარება.

კვლევის საგანი. წინამდებარე ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს საქართველოს საბანკო სექტორი, საბანკო სექტორის კაპიტალიზაცია და მდგრადობა,

საბანკო სექტორის როლი ქვეყნის განვითარებაში; უცხოური კაპიტალის მოზიდვის შესაძლებლობა და პერსპექტივები.

კვლევისათვის გამოყენებული მეთოდები. ნაშრომის შედგენისას გამოყენებული იქნა სისტემური მიდგომის, სტატისტიკური დაკვირვების, ანალიზის და შედარების მეთოდები. კვლევაში გამოყენებული იქნა შემდეგი საინფორმაციო ბაზა: საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე, ბანკების საერთაშორისო მარეგულირებელი ჩარჩო ბაზელი III, სხვადასხვა მეცნიერთა ნაშრომები.

ნაშრომის სტრუქტურა. ნაშრომის პირველ თავში განხილულია საბანკო სექტორის მნიშვნელობა ეკონომიკისთვის, ფინანსური ბაზარის არსი და საფინანსო შუამავლების წილი ფინანსურ ბაზარზე. ასევე განხილულია თანამედროვე საბანკო სისტემის სახეობები, უცხო ქვეყნების საბანკო სისტემის მაგალითები და საბანკო სისტემის სპეციფიკა. პირველ თავის მესამე ქვეთავში განხილულია, რამდენად მნიშვნელოვანია საბანკო სექტორი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის.

მეორე თავში განხილულია მსოფლიო ფინანსური კრიზისების არსი, საბანკო კრიზისების არსი, მისი სახეები და გამოვლინებები, 2007-2008 წლების მსოფლიო ფინანსური კრიზისი, მისი გამოვლენა, უძრავი ქონების ბუშტის გასკდომით გამოწვეული შედეგები. მეორე თავში ასევე განხილულია საბანკო სისტემის ლიცენზირების საკითხი, უცხო ქვეყნებში კაპიტალის დაფინანსების გზები, საბანკო საქმიანობის რეგულირება და გამონწვევები; საბანკო სექტორის კაპიტალის დაფინანსების საერთაშორისო პრაქტიკა.

რაც შეეხება მესამე თავს, განხილულია თუ რა მნიშვნელობა აქვს კაპიტალიზაციას საქართველოს საბანკო სექტორში და როგორ მოქმედებს იგი ინვესტიციების მოზიდვაზე, საბანკო სექტორის მარეგულირებელი ორგანოს (ცენტრალური ბანკის) მიერ საბანკო სექტორისათვის მიცემული ნორმატივების დანესება და მათი დაცვა, ასეთი ნორმატივების არ არსებობის შემთხვევაში საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენება,

აგრეთვე განხილულია ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობები და ინვესტიციების მოზიდვისთვის არსებული საინვესტიციო გარემო.

დასკვნით ნაწილში გადმოცემულია ნაშრომის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციების და ჩატარებული კვლევების შედეგების შეჯერების საფუძველზე მიღებული შედეგების ანალიზი და გაკეთებული დასკვნებიდან გამომდინარე საბანკო სექტორის კაპიტალიზაციასთან და მდგრადობასთან დაკავშირებული, მითითებული თეორიული და პრაქტიკული სახის რეკომენდაციები.

თავი 1. საბანკო სექტორის მნიშვნელობა ეკონომიკისათვის

1.1 საბანკო სექტორი, როგორც ფინანსური ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი

ფინანსური ბაზრის უამრავი განმარტება არსებობს, მაგალითად: ფინანსური ბაზარი წარმოადგენს საბაზრო ინსტიტუტების ერთობლიობას, რომელთა მეშვეობით წარმოებს ფულადი სახსრების ნაკადების გადადინება მესაკუთრეებიდან მსესხებლებსაკენ. აგრეთვე ფინანსურ ბაზარს უწოდებენ ბაზარს, რომელზეც წარმოებს სახსრების გადაქაჩვა იმ პირებისაგან, რომელთაც ფულადი სახსრების სიჭარბე შეენიშნებათ, იმ პირებისაკენ, რომლებიც სახსრების ნაკლებობას განიცდიან. განმარტებებიდან კარგად ჩანს თუ რატომ ასრულებს ფინანსური ბაზარი მნიშვნელოვან როლს ეკონომიკაში. როგორც უკვე აღვნიშნეთ ფინანსური ბაზარი საშუალებას აძლევს ადამიანებს, რომელთა საინვესტიციო შესაძლებლობები შეზღუდულია, სახსრები გადასცენ მათ, ვისაც ამგვარი შესაძლებლობები აქვთ. საბოლოო ჯამში კი ფინანსური ბაზარი ზრდის მომხმარებელთა კეთილდღეობას.

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს საბანკო ორიარუსიან სისტემას, ერთ იარუსზე არის საქართველოს ეროვნული ბანკი, ხოლო მეორე იარუსზე არიან კომერციული ბანკები. კომერციულმა ბანკებმა საქართველოში ისტრიულად ჩამოყალიბდნენ უნივერსალურ ბანკებად და შეასრულეს ფინანსური შუამავლის როლი.

ფინანსური სისტემა მოიცავს ბაზრებს, შუამავლებს, ფინანსური მომსახურების ფირმებს და სხვა ინსტიტუტებს, რომელთა დახმარებითაც სხვადასხვა კომპანიები, სამთავრობო ორგანიზაციები და სხვა ორგანიზაციები, ღებულობენ ფინანსურ გადწყვეტილებებს.

თანემედროვე ფინანსური სისტემის მახასიათებელია გლობალურობა, რაც გულისხმობს, დროის რეალურ რეჟიმში საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო ქსელით ფინანსური ოპერაციების განახორციელებას ფინანსურ ბაზრებისა და შუამავლების მიერ. საქართველოს ფინანსური სისტემაც ჩართულია ამ პროცესში, თუმცა როგორც ყველა გარდამავალი ეკონომიკის მქონე სხვა ქვეყნებში ისე ჩვენთანაც ფინანსური ბაზრები ჩამოყალიბების პროცესშია.

საბანკო სისტემა წარმოადგენს საკრედიტო-საფინანსო სისტემის უმნიშვნელოვანეს სახეს და ქვეყნის ეკონომიკაში ერთ-ერთი უმსხვილესი დამსაქმებელია. ბანკი განსაკუთრებული ინსტიტუტია, რომელიც ახორციელებს ფულადი სახსრების აკუმულირებას, ფულის ემისიას და ანგარიშსწორებას. საბანკო სისტემა მისი ფუნქციებიდან და ოპერაციებიდან გამომდინარე იყოფა ცენტრალურ ბანკად და კომერციულ ორგანიზაციებად. საფინანსო შუამავლების უმრავლესობას კომერციული ბანკები წარმოადგენენ, ფინანსური რესურსების მობილიზება და მისი საინვესტიციო რესურსებად გარდაქმნა საბანკო ინსტიტუტებსაც შეუძლიათ, ასე რომ საბანკო სისტემა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპის დაჩქარების თვალსაზრისით უმთავრესი როლი ეკისრება.

ეკონომიკურ ლიტერატურაში განასხვავებენ: „ბანკებზე დაფუძნებული ფინანსური სიტემა“ და „ფასიან ქალაქელებზე დაფუძნებული ფინანსური სიტემა“.

საქართველოში ფინანსური სიტემა დაფუძნებულია ბანკებზე და სხვა ფინანსურ შუამავლებზე. ფინანსური სისტემის ფუნქციებიდან შეიძლება გამოვყოთ: ინფორმაციული, კონტროლი და მართვა, რისკების მართვა, დანაზოგების აკუმულაცია და დაბრკოლების შემცირება ბრუნვაში. როგორც ყველა ქვეყანის ფინანსური სისტემა

ისე საქართველოს ფინანსური სიტემაც ასრულებს ამ ფუნქციებს, მაგრამ განსხვავება არის ცალკეული ინსტიტუტების განვითარების დონეებში.¹


საფინანსო შუამავლები არიან ფირმები, რომელთა ძირითადი როლი მდგომარეობს ფინანსური მომსახურებისა და საფინანსო პროდუქტების გაყიდვის შემოთავაზებაში. მათ მიეკუთვნებიან ბანკები, საინვესტიციო და სადაზღვევო კომპანიები და სხვა ინსტიტუტები. ფინანსური სისტემით გადაადგილებული რესურსების დიდი ნაწილი არ გაივლის ფინანსურ ბაზარებს, ისინი ფინანსური შუამავლების დახარებით გადადიან თავისუფალი ფინანსური საშუალებების მქონე ეკონომიკური სუბიექტებიდან იმ სუბიექტებთან რომლებიც განიცდიან რესურსების ნაკლებობას. ცნობილია, რომ არსებობს კრედიტორებისაგან მსესხებლებთან ფულადი რესურსების გადაღების ორი საშუალება: პირდაპირი და არაპირდაპირი დაფინანსების არხები. ერთ-ერთი მათგანი ხორციელდება საფინანსო შუამავლების მეშვეობით. მათ არაპირდაპირი დაფინანსების არხებს უწოდებენ. საფინანსო შუამავლები გვევლინება კრედიტორ-შემნახველებსა და მსესხებელ-მხარჯველებს შორის შუამავლებად. მაგალითად, ბანკს შეუძლია მიიღოს თავის განკარგულებაში სახსრები მოსახლეობისაგან შემნახველი დეპოზიტის ფორმით, შემდეგ შეუძლია ამ თანხების გამოყენება რაიმე აქტივის შესაძენად, მაგალითად, შეუძლია გასცეს სესხი კომპანიაზე, ან იყიდოს ფინანსურ ბაზარზე ამ კომპანიათა ობლიგაციები, ამის შედეგად ადგილი აქვს სახსრების გადანაწილებას მოსახლეობიდან კომპანიისაკენ საფინანსო შუამავლის (ბანკის) მეშვეობით.

სქემა #1²

¹ კუნჭულია პ. „ფინანსური მენეჯმენტის თავისებურებანი კომერციულ ბანკში“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2013, გვ. 18-19

² ჩუთლაშვილი ა., ბარბაქაძე ხ., „ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2016, გვ. 44

არაპირდაპირი დაფინანსება



წყარო: ა. ჩეთლაშვილი, ბ. ბარბაქაძე ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები

როგორც უკვე ავლნიშნეთ, ფინანსურ ბაზარს უნოდებენ ფულადი ნაკადების გადამტანს მესაკუთრეებიდან მსესხებლებისაკენ, სქემაზე ისრებით ნაჩვენებია, რომ სახსრები კრედიტორ-შემნახველებიდან მსესხებელ-მხარჯველებთან ორი ძირითადი დაფინანსების გზით გადაადგილდება, პირდაპირი და არაპირდაპირი. ფინანსური ბაზარი წარმოადგენს პირდაპირ ანუ უშუალო დაფინანსებას, ხოლო არაპირდაპირი დაფინანსება ხდება საფინანსო შუამავლების დახმარებით, საფინანსო შუამავლები დიდ როლს ასრულებენ ფინანსური ბაზრის განვითარების სქემაში.

საფინანსო შუამავლების საქმიანობაში კომერციული დაკრედიტება ყოველთვის იყო ბანკების ფუნქციონირების მიმზიდველი სფერო. პროფესიონალს, რომელიც ამ სფეროში მუშაობს, უნდა შეეძლოს კლიენტის პრობლემების გადანყვეტა ისე, რომ არ დაირღვეს მსესხებლის სურვილებისა და ბანკის საკრედიტო პოლიტიკის შორის წონასწორობა, კომერციულ კრედიტორს შეცდომის უფლება არა აქვს. იმისათვის, რომ ბანკს უზრუნველყოფილი ჰქონდეს თუნდაც მინიმალური რენტაბელობა, კრედიტორმა უნდა მიიღოს სწორი გადანყვეტილება. ბევრ ქვეყანაში საფინანსო შუამავლებს დიდი როლი აკისრია ფასიან ქაღალდების ბაზართან შედარებით, ასევე არსებობს რიგი ქვეყნები სადაც აქციათა და ობლიგაციათა ბაზრები განსხვავდება ერთმანეთისაგან. აშშ-ში საგრძობლად დიდ როლს თამაშობს ობლიგაციათა ბაზარი, როგორც

კორპორაციის დაფინანსების უმნიშვნელოვანესი წყარო. ობლიგაციათა გაყიდვით მიღებული სახსრების მოცულობა საშუალოდ 10-ჯერ აღემატება აქციების ხარჯზე მოზიდული სახსრების მოცულობას, ხოლო ისეთ ქვეყნებში, როგორცაა საფრანგეთი და იტალია, კაპიტალის დაბანდების მიზნით აქციების ბაზარს უფრო ხშირად მიმართავენ ობლიგაციათა ბაზართან შედარებით.³

საქართველოში ფინანსური მომსახურების ინდუსტრია ფართო სპექტრს მოიცავს:

კომერციული ბანკები;

სადაზღვევო კომპანიები;

საპენსიო ფონდები;

საკრედიტო კავშირები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები;

საფონდო ბირჟა;

საბროკერო და სადილერო კომპანიები;

რეგისტრატორები და დეპოზიტარები;

საქართველოში არსებული ფინანსური სიტემა წარმოდგენილია როგორც ფასიანი ქაღალდების ბაზრის ისე საბაზრო სესხების ბაზრის სახით. თუმცა, ფინანსური ბაზარი, რომლის მთავარი მონაწილეები არიან კომერციული ბანკები, უფრო განვითარებულია, ვიდრე არასაბანკო ფინანსური ბაზარი.

საბანკო სისტემას სტრატეგიული მდგომარეობა უკავია ეკონომიკაში. საბანკო სექტორის მდგრადობა განისაზღვრება მრავალი ფაქტორით, ესენია:

- საბანკო პროდუქტებსა და მომსახურებაზე ფასების ცვლილება,
- საპროცენტო განაკვეთების დინამიკა,
- სავალუტო კურსი,
- ფასიანი ქაღალდებზე ფასების ცვლილება,
- ინფლაციის დონე.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები გავლენას ახდენენ სისტემის რაოდენობრივ მახასიათებლებზე და შეუძლიათ მისი მთლიანობის დარღვევა. საბანკო სისტემის

³ ჩუთლაშვილი ა., ბარბაქაძე ხ., „ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2016, გვ. 46

სტაბილურობა განისაზღვრება, მისი ელემენტებისა და მთლიანობაში სისტემის ფინანსური მდგრადობის ხარისხით, შესაძლებელი სტრუქტურული ცვლილებებით, მაგალითად, სპეციალიზებული საკრედიტო ორგანიზაციების შექმნით ან ზრდით, როგორც საგარეო და საშინაო ფაქტორებზე ზემოქმედების საპასუხო რეაქცია; კომერციულ ბანკთა წრის გაფართოებით ან შემცირებით, მათი სანესდებო კაპიტალის ფორმირებაში სახელმწიფო მონაწილეობით; საბანკო სისტემის ელემენტების ფინანსური მდგრადობით და მართვის ხარისხით, მათი სტრატეგიული მიზნებით და სხვ.

საქართველოს საბანკო სისტემის ფინანსური მდგრადობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმია ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციის მიღწევაში როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერიოდში.

მდგრადობის პრობლემა, ფართო გაგებით, მთავარია არა მარტო საბანკო საქმიანობაში, არამედ იგი გადამწყვეტია საბაზრო ეკონომიკის სხვა ფინანსური ინსტიტუტებისთვისაც, ვინაიდან, საბოლოო ჯამში, მასში აისახება კონკურენციული გარემოს პირობებში ყველა ეკონომიკური სუბიექტის ურთიერთობები ეკონომიკის სტაბილიზაციის მიღწევის პროცესში. ქვეყნის ეკონომიკაზე რეალურად ზემოქმედების ფაქტორებიდან განსაკუთრებული ადგილი უკავია საბანკო სისტემის ფუნქციონირების ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის პირობების განსაზღვრას.

აღსანიშნავია, რომ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში პოზიტიურ როლს თამაშობენ ფასიანი ქაღალდების ბაზრები, ვინაიდან საფინანსო ბაზრები უზრუნველყოფენ ახალი ტექნოლოგიების შესახებ სრული ინფორმაციის შეგროვებას და გამოსახვენ მათ საბაზრო ფასებში. საბაზრო სისტემა კონკურენციის გაძლიერებით ქმნის სტიმულებს ეკონომიკური განვითარებისთვის, გარდა ამისა კონკურენციის გაძლიერებით ინვესტიციების დაფინანსების ალტერნატიული საშუალების შეთავაზებით ფასიანი ქაღალდების ბაზრებს შეუძლიათ შეზღუდონ ბანკების გადაჭარბებული ძალაუფლება.

1.2 კომერციული ბანკების სახეობები და საქმიანობის სპეციფიკა

განსხვავებული სახეობის ბანკების წარმოშობა საბანკო სისტემის ჩამოყალიბების ევოლუციურმა პროცესმა გამოიწვია, შეიძლება ითქვას, ეს ტენდენცია დღესაც

გრძელდება. სხვადასხვა ქვეყანაში ერთი და იმავე ტიპი ბანკები შეიძლება განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან მათი კლასიფიკაციისას არ უნდა დაგვავინწყდეს ნაციონალური ხასიათი.

მიუხედავად ყველაფრისა, სხვადასხვა ქვეყნის ხელისუფლება მაინც სიფრთხილით ეკიდება საბანკო კანონმდებლობის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ცვლილებას, რადგანაც საბანკო საქმიანობა მიჩნეულია კონსერვატიულ სფეროდ. საბანკო სისტემის კონსერვატიულობა გამომდინარეობს მისი ფუნქციონირების სპეციფიკიდან. მიუხედავად ბანკების მცდელობისა, არ ჩამორჩნენ დროს და ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეების ერთ-ერთი პირველი მომხმარებელნი იყვნენ, ბანკი მაინც რჩება კონსერვატიულ ორგანიზაციად.⁴

ეკონომიკის განვითარებისათვის ყველა სახელმწიფო იყენებს საკრედიტო სისტემას, (ფინანსურ საკრედიტო დაწესებულებათა კომპლექსი) რომელიც უზრუნველყოფს დროებით თავისუფალი ფულადი საშუალებების მობილიზაციას და მათ პრაქტიკულ გამოყენებას მეურნეობრივ საქმიანობაში. თავისუფალი ფულადი სახსრების მობილიზება კი ხელს უწყობს საზოგადოებრივი კვლავწარმოების ყველა რგოლის ფუნქციონირებას.

თანამედროვე საკრედიტო სისტემა შედგება სხვადასხვა რგოლისაგან, რომლებიც ასრულებენ თითოეულისათვის დამახასიათებელ, სპეციფიკურ ფუნქციებს ფულადი საშუალებების დაგროვებისა და განაწილების პროცესში. საკრედიტო სისტემის ცალკეულ რგოლებს შორის ფუნქციების განაწილება ობიექტურად განპირობებულია მათი საქმიანობისათვის მეთოდებისა და საშუალებების განსხვავებულობითა და კვლავწარმოების პროცესში კაპიტალის სხვადასხვა როლით.⁵

თანამედროვე საკრედიტო სისტემაში შედის საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების სამი ძირითადი ჯგუფი:

- ცენტრალური (ეროვნული) ბანკი;
- საბანკო სექტორი (კომერციული ბანკები);

⁴ კოვზანაძე ი., კონტრაძე გ., თანამედროვე საბანკო საქმე, თბილისი 2014, გვ. 23

⁵ მოსიაშვილი ვ., ლომიძე ფ., ქოქოსაძე ვ., “საბანკო საქმე”, თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის, თბილისი 2009, გვ. 12

- სპეციალური არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები.

საკრედიტო სისტემაში ცენტრალურ (ეროვნულ) ბანკს გამორჩეული ადგილი უკავია. იგი, როგორ წესი, სახელმწიფო საკუთრებაშია და გამოიყენება ქვეყნის ეკონომიკის მაკროეკონომიკური რეგულირების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად. ცენტრალურ ბანკს კონსტიტუციითა და საკანონმდებლო აქტებით მინიჭებულ აქვს საგანგებო ფუნქციების შესრულება. საქართველოს ეროვნული ბანკი წარმოადგენს საქართველოს ცენტრალურ ბანკს და მისი სტატუსი განსაზღვრულია ქვეყნის კონსტიტუციით. ეროვნული ბანკის საქმიანობის უმთავრესი მიზანია ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა. საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს არ აქვთ მის საქმიანობაში ჩარევის უფლება. საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც ქვეყნის ცენტრალური ბანკის უფლება-მოვალეობები, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით. საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარულ პოლიტიკას ახორციელებს საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად. იგი ფლობს, მართავს და განკარგავს ქვეყნის ოფიციალურ საერთაშორისო რეზერვებს. საქართველოს ეროვნული ბანკი პასუხისმგებელია, მის ხელთ არსებული მარეგულირებელი და მონეტარული ინსტრუმენტებით უზრუნველყოს მასზე კანონმდებლობით დაკისრებული ძირითადი ფუნქციებისა და მიზნების შესრულება.

თანამედროვე საკრედიტო სისტემის მეორე ჯგუფია საბანკო სექტორი, რომელშიც შედის კომერციული ბანკები. ისინი ასრულებენ პრაქტიკულად ყველა სახის საბანკო ოპერაციებს. კომერციული ბანკები წარმოადგენენ საკრედიტო სისტემის ძირითად რგოლს. შემნახველი ბანკები რომლებიც არიან ადგილობრივი დანიშნულების საშუალო საკრედიტო დაწესებულებები, საინვესტიციო ბანკები სპეციალიზირდებიან საემისიო-სადამფუძვნებლო ოპერაციაზე, იპოთეკური ბანკები ისეთი სახის დაწესებულებებს წარმოადგენენ, რომლებიც გრძელვადიან კრედიტებს

გასცემენ უძრავი ქონების სანაცვლოდ, სამინათმოქმედო ბანკები სპეციალიზაციას ახდენენ აგრარულ სექტორში, სპეციალური სავაჭრო ბანკები და სხვ.

რაც შეეხება საკრედიტო სისტემის მესამე ჯგუფს, არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტებს უფრო განვითარდნენ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში. არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები აკრედიტებენ მეურნეობრივი საქმიანობის განსაზღვრულ დარგებსა და სფეროებს. საკრედიტო სისტემის ამ მესამე თანამედროვე ჯგუფს განეკუთვნება: სადაზღვეო კომპანიები, რომელებიც შემოსავალს დაზღვევის პოლისების რეალიზაციით იღებენ.

საპენსიო ფონდები, რომელსაც ძირითადად ქმნიან კერძო კომპანიები და სახელმწიფო დაწესებულებები მუშებისა და მოსამსახურეების მოხუცებულობის დროს პენსიებით უზრუნველყოფის მიზნით მათი შემოსავლები მომსახურეთა საწევრო შენატანებია.

ფინანსური კომპანიები, მათ მიეკუთვნება ინსტიტუტები, რომლებიც საცალო საბითუმო ვაჭრობაში საქონლის გაყიდვას აკრედიტებენ ამიტომ მათ განსაკუთრებული ტიპის საკრედიტო დაწესებულებებს უწოდებენ.

აგრეთვე აღსანიშნავია საქველმოქმედო ფონდები, რომელთა განვითარება დაკავშირებული იყო: პირველი ქველმოქმედება მენარმეობის ორგანული ნაწილი გახდა და მეორე მოსახლეობის მდიდარი ფენა გაურბოდა გადასახადების გადახდას და საკუთარი ფულადი სიმდიდრის ნაწილს გასცემდა საქველმოქმედო მიზნებისათვის. კერძო პირები და კორპორაციები საქველმოქმედო ფირმების შექმნით აფინანსებენ: უნივერსიტეტებს, სკოლებს, სამეცნიერო-კვლევით და სხვ.

საკრედიტო კავშირები, იგივე კოოპერატივებია, რომელსაც აარსებენ მოსახლეობის განსაზღვრული ჯგუფები პროფესიული ან რელიგიური პრინციპების მიხედვით. მათი კაპიტალი იქმნება საპაიო შენატანების საფუძველზე.

საკრედიტო სისტემის შემადგენელი რგოლების როლი სხვადასხვაა, მაგრამ საბანკო სექტორის მნიშვნელობა ძალიან დიდია და იგი საკრედიტო რესურსების მობილიზაციის მიხედვით პირველ ადგილზეა, ამ სექტორში გადამწყვეტია კომერციული ბანკები,

განვითარებულ ქვეყნებში საკრედიტო სისტემის სრულყოფა დიდად არის დამოკიდებული საბანკო სექტორის ფუნქციონირების მრავალფეროვნებაზე.

თუ გადავხედავთ სხვა ქვეყნის საკრედიტო სისტემებს ყველა განსხვავებულია, მაგალთისათვის მოვიყვანო რამდენიმე ქვეყნის საბანკო სისტემას, პირველად განვიხილავ ფედერალური სარეზერვო სისტემას, რომელიც ცნობილია მისი განმასხვავებელი ერთ-ერთი ნიშანით ნაციონალური და შტატების განცალკევებთ. ნაციონალური ბანკები ისეთი ბანკებია, რომლებიც აშშ-ის ხელისუფლებისგან იღებენ ლიცენზიას, ხოლო შტატების ბანკები ამ შტატების ხელისუფლებისგან.

იაპონიის საბანკო სისტემა აგებულია ამერიკული ნიმუშის მიხედვით ის წარმოადგენს ერთ-ერთი ახალგაზრდა საბანკო სისტემას, იქ გამოიყოფა კომერციული ბანკები, რეგიონული ბანკები, გრძელვადიანი დაკრედიტების ბანკები და საშემნახველო ბანკები.

გერმანიის ცენტრალური ბანკი „დოიჩე ბუნდესბანკი“ ითვლება სახელმწიფო იურიდიულ პირად, იგი ემორჩილება „მხოლოდ კანონს“ და არ ეკუთვნის ფედერაციის ხელისუფლების ორგანოებს, არ ემორჩილება არც კანცლერს და არც ფედერაციის მინისტრს. გერმანიაში უპირატესობა აქვს უნივერსალურ საბანკო სისტემას. ბუნდესბანკი კვალიფიკაციას ახდენს შემდეგნაირად: ა) კომერციული ბანკები; ბ) შემნახველი სალაროები და საკრედიტო საზოგადოებები; გ) იპოთეკური ბანკები და შემნახველი სალაროები; დ) სამომხმარებლო კრედიტის ბანკები; ე) საინვესტიციო კომპანიები; ვ) განსაკუთრებული ამოცანების საკრედიტო ინსტიტუტები.⁶

საბანკო საქმის განვითარება დიდ ბრიტანეთში მჭიდროდაა დაკავშირებული კაპიტალიზმის განვითარებასთან. ინგლისის ბანკი მსოფლიოს ყველაზე ძველი ცენტრალური ბანკია, თავდაპირველად ინგლისის ბანკი არ იყო წმინდა საემისიო ბანკი იგი დიდი მოცულობით ასრულებდა კომერციული ბანკის ფუნქციებს, რომელსაც მრავალრიცხოვანი კერძო კლიენტურა ჰყავდა, რომლის ვექსილებსაც თვითონ აღრიცხავდა. ბრიტანული კომერციული ბანკების სისტემა ძლიერ დიფერენცირებულია

⁶ მოსიაშვილი ვ., ლომიძე ფ., ქოქოსაძე ვ., “საბანკო საქმე”, თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის, თბილისი 2009, გვ. 15

და იყოფა სამ ჯგუფად: 1) დეპოზიტური ბანკები; 2) სააღრიცხვო სახლები; 3) აქციუპტური სახლები, საზღვარგარეთული ბანკები და სხვა ბანკები.

შეგვიძლია თანამედროვე საკრედიტო-საფინანსო სისტემა შემდეგ ძირითად მიმართულებად დავყოთ:

- 1) საკუთრების ფორმების მიხედვით: სახელმწიფო; აქციონერულ; კერძო; კორპორაციულ; მუნიციპალურ სახელმწიფოთაშორის და შერეულ ბანკებს.
- 2) სამართლებრივი ფორმების მიხედვით განასხვავებენ ღია და დახურული ტიპის სააქციო საზოგადოებებს და შეზრდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს.
- 3) ფუნქციონალური დანიშნულებით ვხდებით კერძო და საემსიო ბანკებს.
- 4) საქმიანობის ხასიათის მიხედვით ვხვდებით უნივერსალურ და სპეციალიზებულ საბანკო ორგანიზაციებს.
- 5) მომსახურების სახეობების, სპეციალიზაციის მიხედვით ცნობილია: საინვესტიციო ბანკები, კომერციული ბანკები, სადეპოზიტო ბანკები, საშუალო და გრძელვადიანი დაკრედიტების ბანკები, იპოთეკური ბანკები, სასესხო შემნახველი ბანკები, ვენჩურული ბანკები, დანაზოგები და ბიძნესის ნიშნით სპეციალიზაცია,
- 6) ტერიტორიული ნიშნის მიხედვით, რომელიც მოიცავს ადგილობრივ, რეგიონულ, ნაციონალურ და ტრანსნაციონალურ ბანკებს.
- 7) ფილიალების რაოდენობის მიხედვით განასხვავებენ ბანკებს ფილიალების და ფილიალების გარეშე.
- 8) საქმიანობის მასშტაბის მიხედვით ვხვდება მცირე, საშუალო, მსხვილი, საბანკო კორსორციუმი და ბანკთაშურის გაერთიანებები.

რაც შეეხება ბანკების საქმიანობის სპეციფიკას დიდი მნიშვნელობა აქვს ბანკებისთვის. საბანკო საქმიანობის სპეციფიკა არის კომარციული ბანკების ზოგადი წესები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ ბანკებმა. განვიხილოთ და დავახასიათოთ ძირითადი საბანკო პრინციპები.

მოზიდული რესურსების პრიორიტეტულობის პრინციპი. თუ არ ჩავთვლით ცალკეულ გამონაკლისებს ბანკის საკუთარი კაპიტალი არასდროსაა საკმარისი ბანკის წინაშე მდგარი ამოცანების შესასრულებლად. კომერციული ბანკის რესურსებში საკუთარი

სახსრების წილი 20%- ს არ აღემატება, დანარჩენი 80% ან მეტი ბანკის მიერ მოზიდული სახსრებია. ბანკის მოზიდული სახსრები ეს რესურსები არის იურიდიული და ფიზიკური პირების ბანკში არსებული მოკლევადიანი დეპოზიტებია, რომელსაც ბანკი დაკრედიტებისთვის იყენებს, ამასთან სესხებს გასცემს ნებისმიერი ვადით. შეიძლება ბანკის ლიკვიდობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს, თუ ბანკს აქვს ეკონომიკური პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხი მას შეუძლია იმუშაოს საზოგადოების ფულადი სახსრებით ისე, რომ მან ლიკვიდობის დონე უნდა შეინარჩუნოს.

ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და რეგულაციის ობიექტად ყოფნის პრინციპი. ბანკი უნდა იყოს ეკონომიკურად დამოუკიდებელი, ამავე დროს საკუთარი საქმიანობის შედეგებისათვის ეკონომიკურად პასუხისმგებელიც. ბანკის ეკონომიკურად დამოუკიდებლობა ნიშნავს განკარგოს თავისი და მოზიდული სახსრები, თავისი შეხედულებისამებრ, აირჩიოს მომხმარებელი და გაანაწილოს წმინდა მოგება. მოქმედი კანონმდებლობა უზრუნველყოფს ბანკის საკუთარი კაპიტალის და შემოსავლების განკარგავის თავისუფლებას. გამომდინარე საზოგადოების წინაშე დიდი პასუხისმგებლობიდან ბანკები სახელმწიფოს, ცენტრალური ბანკის რეგულირების ობიექტები არიან, რეგულირება ხდება ადმინისტრაციულად და ირიბი ხერხით, ირიბი ხერხი არის ცენტრალური ბანკის მიერ დაწესებული თამაშის წესები, ამ შემთხვევაში თამაშის წესები გარკვეული ნორმატივებია და ეს ნორმატივები არ უნდა დაარღვიოს ბანკმა ანუ თამაშის წესების ჩარჩოებს არ უნდა გასცდეს, საქმიანობა ამ ჩარჩოების, ნორმატივების შიგნით უნდა განახორციელოს, თუ ამ ჩარჩოებს მიუახლოვდება ან გასცდება ბანკის საქმიანობა იზრდება რისკი მენაბრეებისთვის, რადგან შეიძლება ბანკი გადახდის უუნარო გახდეს და მენაბრემ დაკარგოს თავისი დანაზოგი.

ფასიანობის და რაციონალური საქმიანობის პრინციპი. როგორც ყველა ორგანიზაციას გააჩნია ხარჯები ასევე ბანკსაც გააჩნია ხარჯები. ბანკის ხარჯები დაკავშირებულია, როგორც რესურსების მოზიდვასთან ისე კომპანიის ფუნქციონირებასთან, მის დასაფარად სჭირდება შემოსავალი რათა მისი დაფარვა შეძლოს, ამასთან ბანკის შემოსავლები მნიშვნელოვნად მეტი უნდა იყოს ბანკის ხარჯებთან, იმისთვის რომ აქციონერების ინტერესები დააკმაყოფილოს. ბანკის მიერ

შეთავაზებული პროდუქტებიდან მომხმარებელს შეუძლია გარკვეული პროდუქტის მიღება გარკვეული საფასურის გადახდის შემდეგ გამომდინარე ბანკის კომერციული ინტერესიდან, დაკრედიტებისას შეუძლია ასევე მისი ინტერესებიდან გამომდინარე კრედიტი გასცეს რაციონალური გადაწყვეტის საფუძველზე ირჩევენ ისეთ მსესხებლებს, რომლებიც უფრო დროულად და სრულად დააბრუნებენ მათ მიერ ნასესხებ ფულად სახსრებს.

მომხმარებლებთან საბაზრო ურთიერთობების პრინციპი. სოციალისტური საბანკო სისტემა წარმოადგენდა ცენტრალიზებულ სახელმწიფო ინსტიტუტს, ის იყო ამ სფეროს მონოპოლისტი და არ ითვალისწინებდა მომხმარებლების ინტერესებს. რამდენიმე ბანკის მიერ მონოპოლიზებული იყო ბანკის საქმიანობის მიმართულებები, ხოლო რაც შეეხება სახელმწიფო ორგანიზაციები მიმაგრებული იყო კოკრეტულ მისამართზე არსებულ ბანკზე. მომხმარებლებს არ შეეძლოთ ბანკები შეცვლა ან რამდენიმე ბანკის მომსახურება. დღეისათვის ეს პრობლემა გადაჭრილია და ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია ნებისმიერი საბანკო მომსახურება მიიღოს ნებისმიერ ბანკში, ამავე დროს რამდენ ბანკთანაც შეუძლია საქმიანი ურთიერთობის დამყარება. ეს ყველაფერი გამოიწვია ეკონომიკის და მათშორის საბანკო სექტორის საბაზრო პინციპებზე გადასვლამ, გამოიწვია მომხმარებლების არჩევანი წინა პლანზე დააყენა. საბაზრო ეკონომიკამ გამოიწვია საბანკო მომსახურების მიწოდების პრინციპის შეცვლა, მომხმარებლები უკვე თავიანთ არჩევანში თავისუფალი არიან და საბანკო კონკურენციაც შედერებით გაჯანსაღდა, მომხმარებლისათვის უკვე ცნობილია, რომ ბანკები შემოსავალს სწორედ რომ მომხმარებლისგან იღებს და თან წარმატებულად, თუ ამას ბანკი არ გააცნობიერებს განწირული იქნება წარუმატებლობისაკენ.⁷

1.3 საბანკო სექტორის როლი ქვეყნის განვითარებაში

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სექტორი არის კომერციული ბანკები, მათი არსებობა ყოველთვის დიდ როლს ასრულებს ეკონომიკაში და გადამწყვეტ ფუნქციებს ასრულებენ ინდუსტრიასა და ვაჭრობაში. ბანკები

⁷ კოვზანაძე ი., კონტრაძე გ., თანამედროვე საბანკო საქმე თბილისი, 2014 გვ 68-70

გვევლინებიან სახელმწიფო სიმდიდრის დამცველებად და ასევე ეკონომიკისათვის რესურსების მიმწოდებლებად, რაც საზოგადოების განვითარებისათვის აუცილებელია. მრავალმხრივია მათი როლი ეკონომიკის განვითარებაში.⁸

საბანკო სისტემას სტრატეგიული მდგომარეობა უკავია ეკონომიკაში. საბანკო სექტორის მდგრადობა მნიშვნელოვანია ეკონომიკისათვის, იგი განისაზღვრება მრავალი ფაქტორით, კერძოდ, საბანკო პროდუქტებსა და მომსახურებაზე ფასების ცვლილებით, საპროცენტო განაკვეთების დინამიკით, სავალუტო კურსებით, ფასიან ქალაქებზე ფასების ცვლილებით, ინფლაციის დონით. ეს ფაქტორები გავლენას ახდენენ სისტემის რაოდენობრივ მახასიათებლებზე და შეუძლიათ მისი მთლიანობის დარღვევა. ზემოთ დასახელებულ ცვლადთა ერთობლიობა, თავის მხრივ, განისაზღვრება მაკროეკონომიკური პარამეტრებით, როგორცაა: ბიუჯეტის დაბალანსება, საგადასახადო პოლიტიკა, სახელმწიფო საშინაო და საგარეო სესხები, საინვესტიციო აქტივობა, ერთობლივი მოთხოვნის და ერთობლივი მიწოდების შესაბამისობა და სხვა. საბანკო სისტემის სტაბილურობა განისაზღვრება, მისი ელემენტებისა და მთლიანობაში სისტემის ფინანსური მდგრადობის ხარისხით, შესაძლებელი სტრუქტურული ცვლილებებით, მაგალითად, სპეციალიზებული საკრედიტო ორგანიზაციების შექმნით ან ზრდით, როგორც საგარეო და საშინაო ფაქტორებზე ზემოქმედების საპასუხო რეაქცია; კომერციულ ბანკთა წრის გაფართოებით ან შემცირებით, მათი სანესდებო კაპიტალის ფორმირებაში სახელმწიფო მონაწილეობით; საბანკო სისტემის ელემენტების ფინანსური მდგრადობით და მართვის ხარისხით, მათი სტრატეგიული მიზნებით და სხვ.⁹

ეროვნული დანაზოგი ქვეყნის მომავალი კეთილდღეობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია. პიროვნული დანაზოგის მსგავსად, ეროვნული დანაზოგებს ხშირად ინვესტიციების განსახორციელებლად იყენებენ, რაც ქვეყნის შემოსავლების ზრდას უწყობს ხელს. მაგალითად შეგვიძლია გამოვიყენოთ პიროვნება როდესაც

⁸ ჭილაძე ი., „საქართველოს და კომერციული ბანკების ეკონომიკური ზრდის შედარება“, https://www.researchgate.net/publication/324485801_sakartvelos_da_komertsiuli_bankebis_ekonomikuri_zrdis_shedareba, მოძიებულია 15/04/2019

⁹ მუშუკუდიანი ზ., „საბანკო სექტორის მდგრადობის როლი ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფაში“, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი 2015, გვ.

გადაწყვეტს დანაზოგის გაკეთებას საკუთარი შემოსავლით გარკვეული დროით ის მიიღებს სარგებელს, ამ დროის განმავლობაში ფინანსური ინსტიტუტები ახორციელებენ დანაზოგების გასესხებას ბიზნესმენებსა და ფიზიკურ პირებზე რომლებიც მოცემულ თანხას საინვესტიციო საქმიანობისთვის იყენებენ და ამით წვლილი შეაქვთ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში. ეკონომიკისათვის დაზოგვას და ინვესტირებას დიდი მნიშვნელობა აქვს. იმისთვის რომ დანაზოგები ინვესტიციებად გარდაიქმნას, დაზოგვის მსურველებმა ფულადი სახსრები მსესხებლებს უნდა მიაწოდონ. აღნიშნული ფუნქცია ჩვენს ქვეყანაში ბანკებს აკისრიათ. აქდან გამომდინარე ფინანსური ინსტიტუტების (ბანკების) სტაბილურობა ქვეყნის კეთილდღეობის განმსაზღვრელი ფაქტორია.¹⁰

ბანკების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია საკრედიტო ფულის შექმნის და განადგურების უნარია. იგი ხორციელდება ქვეყნის ცენტრალურ ბანკთან ერთად საკრედიტო და საინვესტიციო ოპერაციების მეშვეობით. ბანკის შესაძლებლობას - „შექმნას ფული“ – დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკისთვის. ის რეალიზდება მოქნილ საკრედიტო სისტემაში, რომელიც ეკონომიკის შედარებით მყარი ზრდის ტემპის აუცილებელი პირობაა. ეკონომიკას სჭირდება აუცილებელი და არა ზომამზე მეტი ფულის მიწოდება. ქვეყნის ცენტრალური ბანკის მიზანია უზრუნველყოს მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობის შესაბამისობა ფასების სტაბილიზაციის ეროვნულ ამოცანებთან, ხელი შეუწყოს ეკონომიკის ზრდის ტემპებს და დასაქმების მაღალ დონეს. მოცემული მიზნის განხორციელებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ბანკები, ისინი წარმოადგენენ მიმოქცევაში ფულის მასის გადიდების ან შემცირების აუცილებელ არხს. ბანკები ახორციელებენ მნიშვნელოვან მომსახურებას ეკონომიკის ყველა სექტორისათვის იმით, რომ ახორციელებენ დანაზოგთა აკუმულაციას და შემდგომში იყენებენ სხვადასხვა ეკონომიკური და სოციალური საჭიროებისთვის. კრედიტის გაცემით ბანკები მნიშვნელოვან სამსახურს ეწევიან, კრედიტის საშუალებით ფართოვდება წარმოება, იზრდება კაპიტალი, მიიღწევა ცხოვრების მაღალი დონე.

¹⁰ დუშუაშვილი თ., „საბანკო სექტორის მნიშვნელობა ეკონომიკისათვის“, <http://forbes.ge/blog/125/sabanko-seqtoris-mniSvneloba-ekonomikisaTvis> მოძიებულია 20/05/2019

აგრარული სფეროს, ვაჭრობის, მრეწველობის და სხვა დარგების დაკრედიტება ეკონომიკისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია.¹¹

კომერციული ბანკისათვის კაპიტალის ფორმირება წარმოადგენს ამოცანას თუ როგორ გახადოს იგი ბიზნესისათვის ხელმისაწვდომი, თუკი ბანკები ამ ფუნქციას ვერ ასრულებენ, მაშინ ვერ მიიღწევა საზოგადოებრივი მიზნები, ბანკებმა უნდა შექმნან კრედიტები, რათა უკეთ შეძლონ ახალი პროექტების განვითარება, საკრედიტო პორტფელი ზრდის წარმოებას, დასაქმებას, ვაჭრობას და შედეგად ვიღებთ განვითარებულ ეკონომიკას

ასევე ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია საგადასახდელი მექანიზმის არსებობა, ანუ სახსრების გადარიცხვა, ის კომერციული ბანკების კიდევ ერთი ფუნქციაა. მთლიანი შიდა პროდუქტთან შედარებით ფულადი ანაბრების თანაფარდობის შეემცირება ნიშნავს საგადასახდელი სახსრების გამოყენების ეფექტიანობა გამწვეულია ჩეკებისადმი და ბარათებისადმი ნდობით, მიუხედავად ფინანსური ოპერაციების ზრდისა. როცა საუბარია საგადასახდელი მექანიზმზე უნდა გვახსოვდეს, საგარეო ვაჭრობაც, რომელიც ბანკებისაგან განსაკუთრებული საბანკო ოპერაციების განხორციელებას მოითხოვს და ისინი დაკავშირებულია საერთაშორისო ანგარიშსწორებასთან. საგარეო ვაჭრობის და უცხოური ტურიზმის მომახურება ბანკების მიერ აადვილებს და აიფებს ქვეყნებს შორის საქონელგაცვლას. საგარეო ვაჭრობის ზრდასთან ერთად იზრდება ბანკების მიერ განხორციელებული საერთაშორისო ანგარიშსწორებათა მოცულობა.

ბანკების ფასიან ქალაქდებთან დაკავშირებული ოპერაციები განიხილება საკრედიტო ოპერაციებისაგან განსაკუთრებით, თუმცა მათი სოციალური შედეგები და ეკონომიკური ეფექტი მაინც ერთნაირია, იმის გამო, რომ სახელმწიფო ხარჯების დაფარვა მხოლოდ შემოსავლებით ყოველთვის ვერ ხერხდება, ბანკებისგან სესხის აღება არც თუ ისე იშვიათია. მაშასადამე, ბანკების სესხები აადვილებენ მთავრობის ფინანსურ საქმიანობას, მთლიანობაში მსხვილი სამთავრობო პროექტები ფინანსდება არა სახელმწიფო შემოსავლების ხარჯზე, არამედ სესხი ობლიგაციების გამოშვების

¹¹ მოსიაშვილი ვ., ლომიძე ფ., ქოქოსაძე ვ., “საბანკო საქმე”, თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის, თბილისი 2009, გვ. 54

გზით. განვითარებად ქვეყნებში ხელისუფლება გამოდის პრომოუშენის სახით, როდესაც სესხები ჭირდებათ ბანკები ხელისუფლებას წარუდგენენ გძელვადიან სესხებს სახელმწიფო ფასიან ქალაქებში ინვესტირების სახით და მოკლევადიანი სახაზინო თამასუქების დაფინანსების სახით.¹²

ხშირად ვხდებით ბანკებს, რომლებიც არიან მესაკუთრეები, ანუ იქმნება ბანკი რამოდენიმე ბანკის გაერთიანებით, რაც ხელს უწყობს მსხვილი საბანკო ინდუსტრიის განვითარებას. როგორც აღვნიშნეთ დასაქმების დონე ასევე მნიშვნელოვანია ეკონომიკისათვის, ამიტომ ასეთი მსხვილი ბანკების განყოფილებები შეიძლება გაიხსნას ქვეყნის ნებისმიერ ადგილას ქალაქში, სოფელსა და დაბაში. მენარმეობის განვითარება რთული და კომპლექსური პროცესია, ის მოიცავს ახალი იდეის ფორმირებას, ადგილობრივი პირობების და შესაბამისი კვალიფიციური კადრების მოძიება, ასეთი ახალი პროექტების განხორციელება ტექნიკური მომსახურების განვითარებად ქვეყნებში ბანკები ეხმარებიან

მთლიანი ფულად-საანგარიშსწორებო ოპერაციებს ქვეყნის მასშტაბით ბანკები ახორციელებენ. ქვეყნის ყველა მოქალაქის ნაშრომი და ნაღვანი ბანკებშია, რომელიც ფულად ფორმაშია გამოხატული, ამიტომ, მისი გაფრთხილება დაცვა და მიზნობრივი გამოყენება მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქის ცხოვრების პირობების განვითარებისათვის და ქვეყნის ეკონომიკისათვის.

საქართველოს კომერციული ბანკების სისტემას გააჩნია თანამედროვე ეკონომიკის შესაბამისი სტრუქტურა და ფუნქციური ოპერაციების განხორციელების ტექნიკური და ადამიანისეული რესურსები. მათ კანონის შებამისად ზედამხედველობას უწევს საქართველოს ეროვნული ბანკი და სერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები. ამჟამად საქართველოში 19 კომერციული ბანკი ფუნქციონირებს, რომლებიც სააქციო საზოგადოებებს წარმოადგენენ.¹³

¹² ჭილაძე ი., „საქართველოს და კომერციული ბანკების ეკონომიკური ზრდის შედარება“ https://www.researchgate.net/publication/324485801_sakartvelos_da_komertsiuli_bankebis_ekonomikuri_zrdis_shedareba მოძიებულია 15/04/2019

¹³ ჭილაძე ი., „საქართველოს და კომერციული ბანკების ეკონომიკური ზრდის შედარება“, https://www.researchgate.net/publication/324485801_sakartvelos_da_komertsiuli_bankebis_ekonomikuri_zrdis_shedareba მოძიებულია 15/04/2019

ეკონომიკური მაჩვენებლების შედარებით, საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების შედეგები აჩვენებს, რომ დიდი უმრავლესობის ქონება 2010-2016 წლების პერიოდში გაორმაგდა, ხოლო, ზოგიერთის შემთხვევაში სამჯერ ან მეტჯერ გაიზარდა 2010 წლის მონაცემებთან შედარებით, მაგრამ მათი მომგებიანობა დაბალია ან მოგება საერთოდ არ აქვს ზოგჯერ, ბანკების უმრავლესობა თითქოს ვითარდება, მაგრამ ზოგჯერ არასტაბილური და ზარალიანია. ასეთი ვითარება გამომწვეულია იმით, რომ ბანკების მართვის რგოლი აქტიურად არ მონაწილეობს ახალი პროექტების და იდეების დაფინანსება, დაკრედიტებაში; ინფლაციის გამო ლარში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთები ორჯერ მაღალია დოლერში გაცემულ სესხებთან შედარებით შედეგად მოსხალეობა დათრგუნულია; მაკროეკონომიკურ არასტაბილურობაზე ბანკები დადებით გავლენას ვერ ახდენენ, ამასთან ლიზინგი და ფაქტორინგი ჯერ კიდევ არაა გავრცელებული საქართველოში.

ბოლო ათი წლის შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საგრძნობლად გაფართოვდა და განვითარდა საბანკო სექტორი საქართველოში, მაგრამ ბანკების დიდი ნაწილი ვერ ასტიმულირებს ქვეყნის ეკონომიკის ძრვას და განვითარებას, შედეგად დასაქმების დონე უნდა გაიზარდოს. ბანკების სამართლიან და ადეკვატურ დაფინანსებას შეუძლია ეკონომიკა განვითარებული და სტაბილური გახადოს ასევე მისი ჩამოშლის მიზეზიც გახდეს. ამრიგად ქვეყნის ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანია რეალური პროექტების და იდეების დაკრედიტება დაფინანსება საქართველოს ყველა კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკის საფუძველი უნდა იყოს. ბანკების გააქტიურების მიზნით, რათა ქვეყნის ეკონომიკა კიდევ უფრო განვითარდეს საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გატარება როგორცაა;

1. კომერციული ბანკების მიერ მცირე ბიზნესის დაკრედიტება;
2. ინოვაციური პროექტების მოძიება და დაკრედიტება;
3. ახალგაზრდების საქართველოში დასაქმების პროექტების შემუშავება მთვრობასთან ერთად და მათი დაკრედიტება დაბალი საპროცენტო განაკვეთიანი სესხებით.

თავი 2. საბანკო საქმიანობის სტაბილურობა

2.1 მსოფლიო ფინანსური კრიზისების არსი

ფინანსური კრიზისის სათავედ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარის მანქანათმშენებლობის ინდუსტრიის შენელება მიიჩნევა, რადგან პროდუქციის რეალიზაცია გაცილებით ნაკლები იყო პროდუქციის წარმოებასთან შედარებით.

ფინანსური კრიზისი არის ქვეყნის საფინანსო სისტემის რღვევა. იგი ხასიათდება ისეთი მდგომარეობით, როდესაც საფინანსო კომპანიები ან ფინანსური აქტივები კარგავენ თავიანთი ღირებულების მნიშვნელოვან ნაწილს. ამგვარი კრიზისის დროს პირველ რიგში ზარალდება ეკონომიკის ფინანსური სექტორი. მისი თანმდევი პროცესია ინფლაცია, არგადახდები, სავალუტო და ფასიანიქალაქების კურსების არამდგრადობა. იმის გამო, რომ ქვეყნის ეკონომიკა და ფინანსური სექტორი კავშირშია, ფინანსური კრიზისი პირდაპირ აისახება ეკონომიკაზე და იწვევს წარმოების დაცემას, უმუშევრობის ზრდას, მოსახლეობის კეთილდღეობის შემცირებას და სხვა.

ეკონომიკის ექსპერტებისა და პოლიტიკოსების აზრი ორად გაიყო: მათი ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ საჭიროა ეკონომიკის რეგულირების მექანიზმების გაზრდა, რომელიც თავიდან ააცილებს მსოფლიოს მსგავს ნეგატიურ მოვლენას, ხოლო მეორე ნაწილი კვლავ ეკონომიკის თვითრეგულირების მომხრეა.

ფინანსური კრიზისის არსის მრავალი ყოვლისმომცველი და თანამედროვე განმარტება არსებობს, მათგან გამოირჩევა ამერიკელი ეკონომისტის ფ. მიშკინის განმარტება, რომლის თანახმადაც ფინანსური კრიზისი არის ფინანსური ბაზრის დებორგანიზაციის პროცესი, რომლის დროსაც არასწორი შერჩევა და მორალური რისკი ქმნის ისეთ სიტუაციას, როდესაც ფინანსური ბაზრები ვერ უზრუნველყოფენ ფინანსური რესურსებით საინვესტიციო შესაძლებლობების მქონე სუბიექტებს. ასევე უნდა ვისარგებლოთ მკვლევარების მ. ბორდოს და ა.შვარცის იდეები ისინი განასხვავებენ ფინანსურ კრიზისსა და ფინანსურ პანიკას¹⁴. ფინანსური კრიზისების ნიშნებია;

პროდუქციაზე ფასების მკვეთრი ვარდნა;

¹⁴ ელიავა ლ., „საბანკო კრიზისების პროგნოზირება“, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2013, გვ. 11

ეროვნული ვალუტის გაუფასურება;

საფინანსო და არასაფინანსო ორგანიზაციების გაკოტერება;

დეფოლტი სუვერენული ვალების მიხედვით.

სახელმწიფოთა როლი ეკონომიკის ფუნქციონირებაში მნიშვნელოვნად იზრდება კრიზისის პერიოდში. მთავრობისგან გარკვეული დახმარების განცხადებას ყველა დარგი მოითხოვს და სუბსიდირების ხარჯზე ცდილობენ მდგომარეობიდან გამოსვლას. ასეთ შემთხვევაში ბიზნესი სულ უფრო მეტად დამოკიდებული ხდება სახელმწიფოზე. ეკონომიკურ კრიზისში, რომელიც ფინანსური კრიზისით დაიწყო, მიზეზად დასახელდა ფინანსური სექტორის კონტროლის მექანიზმების არაეფექტიანობა. კონკურენციის გაზრდით და კონტროლის შესუსტების მექანიზმების ფონზე მაღალი რისკის შემცველი იზოთეკური სასესხო ვალდებულებების რაოდენობა გაიზარდა და არსებულ ბაზარზე განცდილმა კრახმა მსოფლიო სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანა. თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დაფუძნებულმა ეკონომიკამ ვერ უზრუნველყო იმ პროცესების შეჩერება, რომელთა გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზიც თვითონ იყო. აღნიშნულმა ხელახლა გაააქტიურა კეინსიანური შეხედულებები და მსოფლიოს ლიდერებმაც თავისუფალი ეკონომიკის სისტემის მოდერნიზაციაზე ააღაპარაკა.¹⁵

ფინანსური კრიზისების გაგების კუთხით სხვადასხვა შეხედულებები არსებობს. ფინანსური კრიზისი არის ფინანსური სისტემის ფუნქციური პროცესის დარღვევა, რომელიც შეიძლება გამოვლენდეს: ეროვნული ვალუტის გაუფასურებით, ინფლაციის ზრდაში, საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების მასობრივი გაკოტრება და სხვა. საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების ნაწილია კომერციული ბანკები. საბანკო კრიზი ესაა სიტუაცია, როდესაც ბანკები განიცდიან კლიენტების მასიურ შემოსევას, როცა ისინი მოითხოვენ საკუთარი სახსრების დაბრუნებას, მაგრამ ბანკები მოთხოვნას ვერ ასრულებენ უუნარობის, სახსრების არ ქონის გამო. ეს ყველაფერი ნეგატიურ გავლენას ახდენს მწარმოებლებზე, რომლებსაც ბიზნესის გაფართოება-ფუნქციონირებისათვის ხშირად ჭირდებათ კრედიტები, თუმცა ბანკები ვეღარ გასცემენ. ამასთან ერთად

¹⁵ მუშკუდიანი ზ., „საბანკო სექტორის მდგრადობის როლი ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფაში“, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი 2015, გვ. 11

იზრდება საპროცენტო განაკვეთები კრედიტებზე, მსესხებლები ვეღარ უბრუნებენ ბანკებს ფულს და შედეგად ბანკები კოტრედებიან. საბოლოო ჯამში კრიზისი მთელს ეკონომიკაზე ვრცელდება.

საფინანსო სისტემას ხშირად აიგივებენ საკრედიტო სისტემასთან, აქედან გამომდინარე ფინანსური კრიზისიც პირველ რიგში ზემოქმედებს მთელს საკრედიტო საფინანსო სისტემაზე. საფინანსო ბაზარი წარმოადგენს ფინანსური კრიზისის გამოვლინებას, რომლის გამომწვევი ფაქტორებია: საპროცენტო განაკვეთების ზრდა, საფონდო ბაზრის დაცემა, განუსაზღვრელობის ზრდა, საბანკო პანიკა და ინფლაციის დონის მკვეთრი ვარდნა.

სავალუტო საკრედიტო ურთიერთობებს ყოველთვის თან ახლავდა ფინანსური კრიზისები, რომელიც რომელიმე ერთი ქვეყანის ეკონომიკას აზიანებდა. გასული საუკუნიდან კრიზისებმა შეიძინეს გლობალური ხასიათი და ისინი მოქმედებენ გლობალურ ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურულ ცვლილებაზე. ეკონომიტებს ხშირად დაობენ იმის შესახებ, არის თუ არა საჭირო საერთაშორისო კრიზისების რთული კლასიფიკაცია თუ ყველა კრიზისს გააჩნია საერთო ნიშნები და მახასიათებლები, რაც საშუალებას იძლევა განხილულ იქნეს კრიზისის ერთიანი მოდელი.

არსებობს ფინანსური კრიზისის ორი სახე. პირველი სახე გულისხმობს, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ვალუტის სუსტი პოზიციის შედეგად კაპიტალის მფლობელები ცდილობენ გაიყვანონ ამ ვალუტიდან. მეორე სახე გადამდებია, ვინაიდან იგი დაკავშირებულია არა ერთ რომელიმე ვალუტასთან, არამედ ამა თუ იმ სახის აქტივების ან ფასიანი ქაღალდების მიმართ უნდობლობასთან.

საბანკო კრიზისის განსაზღვრისას მთავარია მისი არსის სწორად გაგება და იმ მთავარი კრიტერიუმების გამოყოფა, რომელთა საფუძველძვეც სიტუაცია საბანკო სფეროში შეიძლება დახასიათდეს როგორც კრიზისული. საბანკო კრიზისის განმარტება შეიძლება ჩამოვაყალიბოთ რამოდენიმე განმარტებით. მაგალითად:

1) საბანკო კრიზისის დროს მოკლევადიან პერიოდში ფულზე მოთხოვნა ვერ კმაყოფილდება ბაზრის ყველა მონაწილისათვის;

2) საბანკო კრიზისის პერიოდში ბანკები გადახდისუნარიანი არ არიან, მათი აქტივები მნიშვნელოვნად ნაკლებია მათ ვალდებულებებთან შედარებით.

3) საბანკო კრიზისის დროს საკრედიტო რესურსების მიმწოდებელი მენაბრეები ვეღარ ენდობიან ბანკებს დასესაბამისად ნებისმიერი ფორმითა და ვადით ვეღარ გასცემენ კრედიტებს.

მოცემული განმარტებები არის ვიწრო და კონკრეტული. ფულის კრიზისის გამოვლენა საბანკო სექტორში ნიშნავს საბანკო სისტემის დაძაბულობას და გვევლინება, როგორც ბანკების ლიკვიდობის დაკარგვით, საპროცენტო განაკვეთების ამაღლებით, საბანკო ოპერაციების შეზღუდვით და სხვა.

ბანკების წარმოქმნის აუცილებლობა გამოიწვია ერთი მხრივ დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულირების საჭიროებამ და მეორეს მხრივ მათი საკრედიტო რესურსების სახით მიწოდების ეკონომიკურმა აუცილებლობამ, რაც წარმოადგენს საბანკო საქმიანობის ძირითად და უმნიშვნელოვანეს ფუნქციას. საბანკო კრიზისის დროს ამ ფუნქციის შესრულება შეზღუდულია. საბანკო კრიზისის დროს ბანკებს არ გააჩნიათ უნარი შეასრულონ მათი დანიშნულება - შეამავლონ საკრედიტო სფეროში. ბანკების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია - ეკონომიკაში გადახდების და ანგარიშსწორებების შესრულებაა, თუმცა კრიზისის დროს ეს ფუნქციაც შეზღუდული აქვს, იმის გამო, რომ ვერ ასრულებს შეამავლობის ფუნქციას.

საბანკო კრიზისი არის საბანკო სისტემის უნარის დაკარგვა შეასრულოს თავისი ძირითადი ფუნქციები: თავისუფალი ფულადი რესურსების აკუმულირება და მობილიზაცია; კრედიტების მიწოდება და ეკონომიკაში ანგარიშსწორებების შესრულება. ამ სამი ძირითადი ფუნქციიდან რომელიმეს მოშლა ნიშნავს საბანკო კრიზისს. ხოლო თუ ერთი რომელიმე გამოიწვია სხვა ფუნქციების მოშლამ გულისხმობს ისეთ საბანკო კრიზისს, რომელიც ცნობილია სისტემური სახელით.

საბანკო სექტორში სხვადასხვა სახით შეიძლება გამოვლინდეს კრიზისი, მათი წარმოქმნის პირობები და ფაქტორები განსაზღვრავენ კრიზისების მასშტაბებს და სახეებს.

კრიზისის სახეებია:


1. ლოკალური, როდესაც კრიზისი ერთ რომელიმე ბანკს ან ბანკთა ჯგუფს ეხება,
2. ეროვნული, როდესაც კრიზისი ერთ ქვეყანას მოიცავს,
3. რეგიონულია, როდესაც კრიზისი ვითარდება რამოდენიმე ქვეყანაში,
4. გლობალური, როდესაც ვითარდება მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

სხვადასხვა ტერიტორიულ დონეზე წარმოქმნილი კრიზისები შეიძლება საერთო ეროვნული კრიზისის მიზეზი გახდეს, ეროვნულმა კრიზისმა შეიძლება გამოიწვიოს რეგიონული კრიზისები, ხოლო რეგიონულმა კრიზისმა შეიძლება გამოიწვიოს გლობალური კრიზისები.

1929-33 წლების დეპრესიის შემდეგ ეკონომიკურ ისტორიაში ყველაზე მძიმე მსოფლიო კრიზისი იყო 2007-2008 წლების გლობალური ფინანსური კრიზისი, რომლის დროსაც არაერთი მნიშვნელოვანი ფინანსური ცენტრი დაზარალდა და ბევრი ცნობილი ფინანსური ინსტიტუტი აღმოჩნდა კრიზისის მსხვერპლი. კრიზისის დასაწყისი დაკავშირებული იყო აშშ-ს უძრავი ქონების ბაზარზე იპოთეკური დაკრედიტების კრიზისთან, რომელიც 2007 წლის ზაფხულის შემდეგ გავრცელდა რიგ სხვა ქვეყნის ეკონომიკაზე, აქტივების გარკვეული კლასების მიმართ ნდობის დაკარგვისა და ფინანსურ ბაზრებზე ლიკვიდობის ამონურვის გამო. ამ ყველაფერს ხელი შეუწყო ამ ქვეყნებში ადგილობრივი ფინანსური დისბალანსის არსებობამ. ეკონომიკურ ლიტერატურაში არ არის სრული კონსენსუსი იმის თაობაზე, თუ რა იყო გლობალური ფინანსური დისბალანსის წარმოშობის მიზეზი. ეკონომიტები თანხმდებიან, რომ მნიშვნელოვანი პრობლემები იყო რეგულირებისა და ზედამხედველობის სფეროში. რაც შეეხება კრიზისის გამომწვევ ეკონომიკურ მიზეზებს, ორი ძირითადი მიმართულების გამოყოფაა შესაძლებელი. პირველი ინტერპრეტაციით კრიზისის ხელშემწყობი ძირითადი ფაქტორი იყო 2001 წლიდან მოყოლებული ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ გატარებული შერბილებული მონეტარული პოლიტიკა, ხოლო მეორე ინტერპრეტაციის მიხედვით კრიზისის გამომწვევი მიზეზი იყო გლობალური ფინანსური დისბალანსის ზრდა და მასთან დაკავშირებული კაპიტალის ნაკადების ინტენსივობის ზრდა, ამასთან მისი მსოფლიო მასშტაბით გავრცელების მნიშვნელოვანი ფაქტორი.

შეგვიძლია რამდენიმე ეტაპად დავყოთ 2007-2008 წლების კრიზისის განვითარება, კრიზისის მთავარი მიზეზი უძრავი ქონების ბუშტი იყო - 2001-2006 წლებში უძრავ ქონებაზე ფასების სწრაფი ზრდა, 2007 წლის პირველ ნახევარში ფასების სწრაფი დაცემით დასრულდა. უძრავი ქონების ბუშტი მნიშვნელოვნად დამოკიდებული იყო 2000 წელს სუბსტანდარტული იპოთეკების შემოღებაზე. თუ მანამდე ბანკები აფინანსებდნენ სესხის მხოლოდ 80 პროცენტს ხოლო საპროცენტო განაკვეთი თითქმის უნივერსალურად ფიქსირებული იყო, 2000 წლის შემდეგ პოპულარული გახდა სუბსტანდარტული სესხები, რომლებიც არ მოითხოვდნენ მსესხებლის თანამონაწილეობას, საპროცენტო განაკვეთები კონკრეტული პერიოდის გასვლის შემდეგ ხდებოდა მცურავი. უძრავ ქონებაზე გაზრდილი მოთხოვნა გამოწვეული იყო სუბსტანდარტული იპოთეკების პოპულარიზაციით, რაც ხელს უწყობდა ფასების უპრეცედენტო ზრდას სექტორში. რომელიც მოცემულია შემდეგ №1 დიაგრამაზე:

დიაგრამა №1. ყოველწლიური ზრდა უძრავ ქონებაზე¹⁶




საპროცენტო განაკვეთების ზრდამ გამოიწვია ყოველწლიური გადახდების ზრდა, რამაც გამოიწვია დეფოლტების და საბანკო სისტემაში ცუდი სესხების დონის ზრდა. საპროცენტო განაკვეთების ზრდის პარალელურად დაიწყო ფასების დაცემა უძრავი ქონების სექტორში, რამაც კიდევ უფრო გააუარესა სუბსტანდარტული იპოთეკარებისა და იპოთეკების გამცემი ბანკების ფინანსური მდგომარეობა.

¹⁶ ბაქრაძე გ., 2007-2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის მიზეზები და ინტერპრეტაციები, გვ 8.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ბუშტის შექმნაში ფინანსურ დერეგულაციას ჰქონდა, რაც აშშ-ს საბანკო სისტემაში 1980-იანი წლებიდან დაიწყო. პირველ რიგში, 1980 წელს მიიღეს „სადეპოზიტო ინსტიტუტების დერეგულაციისა და მონეტარული კონტროლის აქტი“, რომელმაც უფლება მისცა მსგავს ბანკებს შერწყმოდნენ. შედეგად საბანკო დაწესებულებების რიცხვმა მნიშვნელოვნად იკლო, ხოლო სექტორის კონცენტრაცია გაიზარდა, (გრაფიკი 1.). ამას თან დაერთო უფლება ბანკებს დაანესონ ცვლადი საპროცენტო განაკვეთი და 1999 წელს მიღებული გრემ-ლიჩ-ბლაილის აქტი, რომელიც ადრე აკრძალულ საინვესტიციო და კომერციული ბანკების გაერთიანებას უშვებდა. ეკონომისტები, მათ შორის პოლ კრუგმანის და ჯოზეფ სტიგლიცის აზრით, ეს უკანასკნელი აქტი იყო უძრავი ქონების ბუშტის უპირველესი საწინდარი. კრიზისის უშუალო დასაწყისი მოდის ბუშტის გასკდომამზე, როდესაც 2006 წლის ბოლოს პირველად 1991 წლის შემდეგ დაფიქსირდა უძრავი ქონების ფასების დაცემა წლიურ გამოხატულებაში.

დიაგრამა №2. უძრავი ქონების ფასებიდან ინდექსი¹⁷.


ქვის-შილერის უძრავი ქონების ფასების ინდექსები



¹⁷ ბაქრაძე, ვ. 2007-2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის მიზეზები და ინტერპრეტაციები

2007 წლის მარტში გაყიდვების წლიურმა დაცემამ 13 პროცენტი შეადგინა, ხოლო მედიანური ფასი 6 პროცენტით დავარდა. შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა სუბსტანდარტული იპოთეკების დეფოლტის დონე, რამაც მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა ამ იპოთეკების გამცემი ინსტიტუტების ფინანსურ სტაბილურობას.¹⁸

დიაგრამა №3. შემნახველი და კომერციული ბანკების რაოდენობა¹⁹



2.2 საბანკო საქმიანობის რეგულირება და გამონწვევები

საბანკო საქმიანობის რეგულირება ფართო ცნებაა და გულისხმობს კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ კონკრეტული წესებისა და ინსტრუქციების შემუშავებას და გამოცემას, რომელიც განსაზღვრავს

¹⁸ ბაქრაძე გ., „2007-2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის მიზეზები და ინტერპრეტაციები“, სტატია, გვ. 8

¹⁹ ბაქრაძე გ. 2007-2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის მიზეზები და ინტერპრეტაციები

საბანკო საქმის განხორციელების სტრუქტურასა და საშუალებებს, სწორედ ეს მარეგულირებელი ინსტრუქციები ქმნიან საბანკო სისტემის ქმედუნარიანობას.

გამოიკვეთა საბანკო რეგულირების ოთხი ძირითადი პრინციპი, რომლებიც მსოფლიო გამოცდილებით აუცილებელია საბანკო საქმის წარმატებული წარმართვისათვის.

პირველი და უმნიშვნელოვანესი: საბანკო რეგულირება უნდა იყოს სისტემური და საყოველთაო ხასიათის, რათა ბანკების ფინანსური მდგომარეობის შეფასება დროული და რეალური იყოს. შემონმდეს ქვეყნის მოქმედი საბანკო და სავალუტო კანონმდებლობა, რათა გამოვლინდეს გარემოებანი, რომლებიც კრედიტორების და მენაბრეების ინტერესებს საფრთხეს უქმნიან.

მეორე პრინციპი: ეკონომიკურად ბანკი სრულიად თავისუფალი ერთეულია, რომელიც პასუხისმგებელია მუშაობის შედეგებზე. ეკონომიკური დაოუკიდებლობა ნიშნავს: საკუთარი და მოზიდული სახსრების განკარგვის სრული თავისუფლება, კლიენტებისა და მენაბრეების არჩევანის თავისუფლება, გადახდების და მის შედეგად მიღებული მოგების განკარგვის თავისუფლება. ბანკი იღებს პასუხისმგებლობას გატარებულ ოპერაციების რისკებზე.

მესამე პრინციპი: ბანკი პირველ რიგში ითვალისწინებს სესხების გაცემის შედეგად მიღებულ მოგებას, რისკებს და ლიკვიდურობის საბაზრო კრიტერიუმებს, ანუ ბანკსა და მის კლიენტებს შორის ურთიერთობები საბაზრო ურთიერთობების პრინციპების შესაბამისად უნდა იწარმოებოდეს და ბანკის კომერციული ინტერესები საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს.

მეოთხე პრინციპი: ბანკის საქმიანობის რეგულირება ექვემდებარება არაპირდაპირ ეკონომიკურ მეთოდებს, სახელმწიფო მხოლოდ თამაშის წესებს განსაზღვრავს და ის არ იძლევა ბრძანებებს.

ამგვარად, საბანკო რეგულირების ფარგლებში, ბანკების სტაბილურ და უსაფრთხო ფუნქციონირებას უზრუნველყოფს სახელმწიფო ცენტრალური ბანკის, ან მასზე დაქვემდებარებული სპეციალური ორგანოების მეშვეობით. ასევე სახელმწიფო ებრძვის დესტაბილიზაციური პროცესების გაღრმავებას.

საბანკო რეგულირება თეორიული თვალსაზრისით, ითვალისწინებს ერთიან და უწყვეტ ზედამხედველობას ბანკებზე, ნაკისრი ვალდებულებების განხორციელებაზე, მოქმედი მარეგულირებელი კანონმდებლობისა და ინსტრუქციების შესაბამისად, ის მოიცავს ლიცენზირებას, საბანკო ანგარიშგებების წარმოებას და საზედამხედველო ინსტიტუტების მოთხოვნათა შერულების კონტროლს ეტაპობრივად.

ლიცენზირება გულისხმობს უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საბანკო საქმიანობის ნაბართვას, რაც პირველი ეტაპია ზედამხედველობის პროცესში. ლიცენზირების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს ბანკის კაპიტალის ბაზრის შესაბამისად მისი მომავალი ფინანსური მდგომარეობის შეფასება. გარდა ამისა ლიცენზიის გაცემაზე საბოლოო გადაწყვეტილებების მიღებისას საზედამხედველო ორგანოები ითვალისწინებენ ინფორმაციას მომავალ დამფუძნებელთა, დირექტორთა, მთავარ აქციონერთა საქმიანობის სტრატეგიის შესახებ. ახალი ბანკისფილიალების ქსელის ჩამოყალიბების პერსპექტივებს და მათ შესაძლო გავლენას საფინანსო-საკრედიტო სექტორში კონკურენციის დონეზე. იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში მოქმედებს უცხოელ პირთა განცხადებების განხილვის განსაკუთრებული წესი ქვეყნის საბანკო ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება იმაზე, თუ რამდენად მიზანშეწონილია მისი ქვეყნის ტერიტორიაზე ამა თუ იმ პირთა მიერ საბანკო საქმიანობის განხორციელება და ლიცენზირების პროცესში საკუთარი მოთხოვნები წარმოადგინოს დირექტორებისა და დამფუძნებლების კვალიფიკაციის, ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურის, ბიზნესგეგმისა და სხვა მოთხოვნათა შესახებ. პრაქტიკული მოსაზრებებით საბანკო ლიცენზია უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მისი მოქმედების ვადების და საჭიროების შემთხვევაში გაუქმების შესახებაც. კერძოდ, თუ ახლადშექმნილი ბანკი ამჟღავნებს უუნარობას საბანკო საქმიანობის განხორციელებაში, არღვევს ლიცენზიით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და კანონებს, ან კანონქვემდებარე აქტების იგნორირების გზით ზიანს აყენებს კრედიტორებისა და მენაბრეების ინტერესებს.²⁰

²⁰ მოსიაშვილი ვ., ლომიძე ფ., ქოქოსაძე ვ., “საბანკო საქმე”, თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის, თბილისი 2009, გვ. 88

საზედამხედველო საქმიანობის მეორე ეტაპია ბანკების მიერ ზემდგომ ორგანოებში წარმოდგენილი ანგარიშგებების კონტროლი, რომელიც მოიცავს როგორც დოკუმენტურ - დისტანციურ ზედამხედველობას, ისე ადგილზე შემოწმებას ინსპექტირებას.

დოკუმენტური - დისტანციური ზედამხედველობა ბანკების ფინანსური პრობლემების, ან გაკოტრების წინასწარი გამოვლენის საშუალებას იძლევა. შემოწმების პროცესში ჩვეულებრივ გამოიყენება ყოველწლიური ანგარიშები და პერიოდული ჟურნალები. ასევე წლიური ბალანსი, მოგებისა და ზარალის ანგარიშები, განმარტებითი ბარათები, ბანკის მიერ სავალდებულო ეკონომიკური ნორმატივების შესრულების შესახებ ყოველკვარტალური ანგარიშები, რომელიც წარედგინებათ საზედამხედველო ორგანოებს სააღრიცხვო პერიოდის მოდევნო თვისათვის. ანგარიშის წარდგენის ვადის დარღვევა მეტყველებს ბანკში გარკვეული სახის პრობლემების არსებობის შესახებ. დოკუმენტური შეფასების პროცესშივე ხდება სარეიტინგო შეფასება, რომელსაც ანხორციელებენ ცენტრალური ბანკი და ხშირ შემთხვევაში სპეციალიზებული სარეიტინგო სამსახურები.

ადგილზე შემოწმება ინსპექტირება უფრო დეტალურია და უფრო ზუსტ სურათს გვაძლევს ბანკის ფინანსური მდგომარეობის შესახებ. ინსპექტირების, როგორც საზედამხედველო კონტროლის ყველაზე გავრცელებულ სახედ ითვლება რევიზია. პრომატევალობის გათვალისწინებით რევიზიის ჩატარება არ ატარებს სისტემური ხასიათის. პერიოდულობის მიხედვით განასხვავებენ რიგგარეშე, რეგულარულ და გეგმიურ რევიზიებს, ასევე შემოწმება შეიძლება მიზნებისა და მასშტაბების მიხედვითაც დავაჯგუფოთ, ესენია სპეციალური, შეზღუდული და სრული.

ბანკების მიმართ საზედამხედველო ორგანოების ნდობა განაპირობებს რევიზიის ჩატარების ხასიათსა და სიხშირეს. ყველაზე ხშირად რევიზია უტარდებათ მსხვილ ბანკებს და იმ საბანკო ორგანიზაციებს, რომლებიც განიცდიან სერიოზულ პრობლემებს. ასე რომ ადგილზე შემოწმება ხშირ ხასიათს ატარებს ვიდრე დოკუმენტური ზედამხედველობა.

საზედამხედველო ორგანოების მოთხოვნათა შესრულებაზე კონტროლი მკაცრად განსაზღვრულია ვადებში რათა საბოლოოდ გამოასწოროს ნაკლოვანებები, ის წარმოადგენს ბანკების რეგულირების დასკვნით ეტაპს. გადაჭარბებული კონტროლი ზღუდავს საბანკო სისტემას, ამიტომ რთულია მათი საქმიანობის სიმკაცრის ოპტიმალური ხარისხისა და დონის განსაზღვრის საკითხი, ასე, რომ მარეგულირებელი ორგანოს პრეროგატივას განეკუთნება ბანკებზე ზემოქმედების ოფიციალური თუ არაოფიციალური გზების შემუშავება ამოქმედების საკითხი, ხოლო უმოქმედობის შემთხვევაში უკონტროლო ხდება რისკების მართვის საკითხი, რაც ბანკების კაპიტალს და მის ქმედითუნარიანობას დიდ საშიშროებას უქმნის.

პრაქტიკული თვალსაზრისით, საბანკო რეგულირების მთავარი დანიშნულებაა ქვეყნის საბანკო სისტემის პოტენციალის განსაზღვრა და მისი სრულად გამოყენების ხელშეწყობა, საბანკო სისტემის განვითარებაზე მოქმედი გარეგანი და შიდა ფაქტორების შესწავლის გზით. ამ მიმართულებით, ერთ-ერთი ყველაზე ნაცადი მეთოდია ეფექტიანი საბანკო რეგულირების მექანიზმის ამოქმედება, რომელიც გულისხმობს მკაცრად განსაზღვრული მიზნებისა და მოვალეობების შემუშავებას მექანიზმის შემადგენელი თითოეული რგოლისათვის, კანონით განსაზღვრული მოქმედების თავისუფლებისა და შესაბამისი მატერიალური ბაზის საფუძველზე. უფრო კონკრეტულად, საბანკო რეგულირების მექანიზმში ერთიანდება როგორც საბანკო ზედამხედველობის, მათ შორის დისტანციური ზედამხედველობისა და ადგილზე ინსპექტირების ფუნქციები, ისე ბანკის შიგნით არსებული თვითკონტროლის სისტემის, ანუ შიდა კონტროლის უმნიშვნელოვანესი ფუნქციები, საბანკო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების ფუნქციებთან ერთად.²¹

გარეგან ფაქტორები გულისხმობს საერთო გარემო პირობებს, ანუ რომლებმაც უნდა უზრუნველყო საბანკო პოტენციალის რეალიზაციისათვის სასურველი ატმოსფეროს შექმნა. შიდა ფაქტორებსი არის უშუალოდ ბანკებში არსებული საკუთარი პოტენციალი, რომელიც შეიძლება წარმოვიდგინოთ ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირში მყოფი ელემენტების საფუძველზე და დავყოთ ოთხ ძირითად რგოლად:

²¹ მოსიაშვილი ვ., ლომიძე ფ., ქოქოსაძე ვ., "საბანკო საქმე", თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი 2009, გვ. 89

პირველი რგოლი აერთიანებს ბანკის ხელთ არსებულ რესურსებს, კერძოდ საბანკო კაპიტალს ფართე მცნებით, რომელიც მოიცავს, როგორც საკუთარ, ისე მოზიდულ კაპიტალს.

მეორე რგოლი მოიცავს საბანკო პროდუქტებს, მასში გაერთიანებულია ოპერატიული მომსახურება, კრედიტი, ნაღდი ფული და სხვ. ბანკში არსებული მრავალფეროვანი საბანკო პროდუქტები მიუთითებს ბანკის წარამატებულ საქმიანობას, ხოლო თუ ბანკი სპეციალიზირებულია აქ უკვე ბანკის წარმატება პროდუქტის ხარისხზეა დამოკიდებული.

მესამე რგოლში განხილულია კონკრეტული პიროვნებები, ან პირთა ჯგუფები, ცოდნის და გამოცდილების მაღალი დონით, რომლებიც წარმართავენ საბანკო საქმიანობის პროცესს, მოცემული შემადგენლობა წარმოადგენს ბანკის აპარატს.

მეოთხე რგოლი არის ბანკის ტექნიკური და საწარმოო საკუთრების ჩამონათვალი, როგორცაა შენობა-ნაგებობა, საბანკო ტექნიკა, მონაცემილობები, საკომუნიკაციო საშუალებები და სხვ.

თვითრეგულირების პროცესს საბანკო რეგულირების ეფექტიანობის თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს: კაპიტალიზაციის პრობლემას, ბანკების მიერ რისკების ადეკვატურად მართვისა და დივერსიფიკაციის საკითხებს, იგი გულისხმობს მოქმედებას ბანკში რეალურად მობილიზებული რესურსების ფარგლებში და რაოდენობრივი შესაბამისობის უზრუნველყოფას საკუთარ რესურსებსა და საკრედიტო დაბანდებებს შორის. აღნიშნული შესაბამისობა გათვალისწინებულია საბანკო საქმიანობის რეგულირების ეკონომიკურ ნორმატივებშიც; ასევე მართვის პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი ორგანოებისა და განყოფილებების ფორმირებას, რომლებიც ფლობენ სპეციალურ უფლებებსა და ვალდებულებებს და ბოლოს, შიდა საბანკო კონტროლის სისტემის გაძლიერებას.

შიდა კონტროლი არის ბანკის ხელმძღვანელობისა და სხვა განყოფილებების მიერ წარმოებული ყველა სახის კონტროლის ერთობლიობა, რომელმაც მინიმალური რისკითა და დანახარჯებით უნდა უზრუნველყოს დასახული მიზნების განხორციელება.

შიდა კონტროლის სიტემაში ცენტრალური ადგილი უჭირავს ბანკის შიდა აუდიტორულ სამსახურს, მისი მიზანი ბანკის სტრუქტურული ერთეულების სამსახურეობრივი ფუნქციების განხორციელებაში ბანკის ხელმძღვანელობის დახმარებაა. კერძოდ ეხმარება:

პროგრამულ და საოპერაციო ამოცანების შესრულებაში;

რესურსების ეფექტიან მართვაში

ინფორმაციის საიმედოობისა და მიღებული პოლიტიკის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.

შიდა აუდიტის მთავარი მიზანია გამოააშკარაოს და შეათვასოს ბანკში არსებული რისკები და შიდა კონტროლის სისტემების ადეკვატურობა. განასხვავებენ ფინანსურ აუდიტს, კომპიუტერულ აუდიტს და თვითკონტროლს. განვიხილოთ თითოეული მათგანი: ფინანსური აუდიტი ამოწმებს და აფასებს ფინანსურ ოპერაციებთან დაკავშირებულ რისკებსა და მათ ადეკვატურობას. კომპიუტერული აუდიტი ამოწმებს კომპიუტერული სისტემის დაცულობას, ახალი კომპიუტერული სისტემების დანერგვას, ინფორმაციის რეგულარული ასლების კეთებას და პაროლების სისტემურად ცვლილებას. თვითკონტროლის მიზანია მუდმივი კონტროლის უზრუნველყოფა, ასევე ბოლო დროს საბანკო სისტემაში შეიქმნა “კონტროლინგის” სისტემა, რომელიც წარმოადგენს ინტეგრირებული დაგეგმვის, მართვისა და კონტროლის სისტემების ერთობლიობას და თავს უყრის საკმაოდ მნიშვნელოვან ინფორმაციას ბანკის რეალური შესაძლებლობების, მათ შორის სისუსტეებისა და რისკების გავლენის სფეროების შესახებ.

2.3 საბანკო სექტორის კაპიტალის დაფინანსების საერთაშორისო პრაქტიკა

საბანკო სექტორის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ქვეყნის საბანკო მომსახურების ბაზარზე უცხოური კაპიტალის შემოდინება. უცხოური კაპიტალის შემოდინებას საბანკო სექტორში თან ახლავს თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ფინანსური პროექტების დანერგვა, საბანკო დაწესებულებებს შორის კონკურენციის

გაზრდა, საბანკო საქმის სრულყოფა და საკრედიტო ორგანიზაციებში კორპორაციული მართვის კულტურის ამაღლება.

კორპორაციული მართვის ხარისხის ამაღლება, ასევე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო პრინციპებისა სტანდარტების ეფექტიანი და სრულყოფილი რეალიზება აუცილებელია საბანკო სექტორში, რათა მოიზიდოს უცხოური ინვესტიციები.

უცხოელი ინვესტორების დაინტერესება და ნდობის მოპოვება საბანკო სექტორისათვის წარმოადგენს საერთაშორისოდ აღიარებულ სარეიტინგო კომპანიების მიერ ბანკების შეფასებას და რეიტინგის მინიჭებას. საკრედიტო რეიტინგის მინიჭება ზრდის ინვესტორთა ნდობას, რაც ბანკებს აძლევს საშუალებას იათად მოიზიდოს საკრედიტო რესურსები.

მსოფლიო ეკონომისტების ნაწილის მტკიცებით ქვეყანაში წარმოების ეფექტურობა, რომელიც აისახება პროდუქციის გამოშვებაზე, დამოკიდებულია საფინანსო სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე. წარმოების ეფექტურობის საბოლოო შედეგი კი ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების საწინდარია.

თუმცა არსებობენ ისეთი ეკონომისტები, რომლებსაც უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ ფინანსურ სისტემასა და ეკონომიკური ზრდის კავშირზე. განვიხილოთ ერთ-ერთი ასეთი ეკონომისტის, რობერტ ლუკასის დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით. ის მიიჩნევს, რომ ფინანსური ფაქტორების როლი ეკონომიკურ ზრდაში უმნიშვნელოა. უფრო მეტიც, რობერტ ლუკასი განმარტავს, “სადაც წარმოება წამყვანია, საფინანსო სექტორი მის დინებას მიყვება”. ამ შეხედულების მიხედვით, ეკონომიკური განვითარება ქმნის მოთხოვნას გარკვეული სახის ფინანსურ გადაწყვეტილებებზე და საფინანსო სისტემა კი ავტომატურად რეაგირებს ამ მოთხოვნებზე.

ამ ყველაფრის გათავისების მერე გაგიჩნდება კითხვა: როგორ უნდა გაიზარდოს ეკონომიკა თუ საფინანსო სისტემა უბრალოდ წარმოების ტენდენციებს მიყვება და არ არის კარგად განვითარებული?

ბანკებში განთავსებული არასაკმარისი დეპოზიტები და ლიკვიდობის პრობლემა იწვევს ეკონომიკის რეცესიას. როდესაც ვსაუბრობთ განვითარებაზე, ყურადღება უნდა გავამახვილოთ გრძელვადიან პერიოდზე და არა მოკლევადიან პერიოდზე. პოზიტიური

ეფექტის მისაღწევად არსებობს ბიზნესის და მთლიანად ეკონომიკის დაფინანსების სხვადასხვა გზები, ესენია:

- პირდაპირი უცხოური ინვესტიციები;
- საბანკო სესხი;
- საფონდო ბირჟა.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანია საბანკო სესხი და საფონდო ბირჟა. ორივე მათგანს თავისი სპეციფიკა გააჩნია. საბანკო სესხი გულისხმობს ინვესტორების მიერ დეპოზიტების განთავსებას ბანკში და შემდეგ ბანკის მიერ შედარებით მაღალ პროცენტში სესხის გაცემას. საფონდო ბირჟაზე კი ინვესტორი ფასიანი ქაღალდების სანაცვლოდ ფაქტობრივად თანხებს პირდაპირ ეკონომიკაში აბანდებს.

დიდი კომპანიებისთვის, ინდუსტრიებისთვის სადაც უწყვეტად ვითარდება მოწინავე ტექნოლოგიები, სადაც არსებობს კომპანიის მართვის მკაცრად განერილი სტანდარტები და რომლის ეფექტიანობას აფასებს საფონდო ბირჟის კომისია აქციების განთავსებამდე მნიშვნელოვანია დაფინანსება განხორციელდეს საფონდო ბირჟის მეშვეობით. მათთვის ფინანსური მონაცემების გარდა მნიშვნელოვანია კომპანიის მენეჯერების ხედვა მწარმოებლურობაზე და სხვა სამომავლო გეგმებზე.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ამ ორ სისტემას თავისი ნდობის თვალსაზრისით განასხვავებენ. მაგ: ამერიკას აქვს კარგად განვითარებული საფონდო ბირჟა, რომლის კაპიტალიზაცია მთლიან შიდა პროდუქტში უფრო მაღალია, ვიდრე ბანკების მიერ კერძო სექტორის დაკრედიტება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამერიკაში კომპანიები უმეტეს შემთხვევაში დაფინანსებას იღებენ საფონდო ბირჟის მეშვეობით და არა საბანკო დაკრედიტებით.

არიან საბანკო დაფინანსებაზე დამოკიდებული ქვეყნები. ესენია: გერმანია, იაპონია, საფრანგეთი. ყველა ამ ქვეყანაში ბანკები წამყვან როლს ასრულებენ თანხების მობილიზებაში, კაპიტალის ლოკალიზებაში, კორპორატიული მენეჯერების საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე. უზრუნველყოფენ რისკ მენეჯმენტის მექანიზმებს და შეუძლიათ კომპენსირება უფრო სუსტი ინსტიტუციებისთვის. ამ ბაზრებზე დიდ კომპანიებთან შედარებით მეტია მცირე და საშუალო საწარმო, პროექტებზე

გადაწყვეტილებების მიღება გამართივებულია და დაფინანსების წყარო გრძელვადიანი სესხებია.

განსხვავება დაფინანსების ამ ორ სტრუქტურას შორის ყოველთვის არსებობდა. დიდი დეპრესიის შემდეგ ამერიკამ შემლუდვები დაუწესა ბანკებს იმის მიხედვით თუ რისი კეთების უფლება უნდა ქონოდათ და ასევე რომელ შტატებში. გერმანიაში კი ბანკებს უფლება აქვთ განახორციელონ სხვადასხვა ოპერაციები და ქონდეს მჭიდრო კავშირები ბიზნესთან. გარდა ამისა, განვითარებადი ქვეყნების მაგალითებიდან ჩანს, საბანკო სექტორზე დაფუძნებული საფინანსო სტრუქტურა უფრო უკეთესად ართმევს თავს ლოკალური ბაზრის ხელშეწყობას რადგან იგი აკრედიტებს ადგილობრივ წარმოებას. ეს სისტემა ხელსაყრელია იმ ქვეყნებისთვის, სადაც ბიზნეს პროექტები და საწარმოო ხარჯები მოკრძალებულია, ხოლო დიდი კომპანიებისთვის აუცილებელი ხდება საფონდო ბირჟის სრულფასოვანი არსებობა.

როგორც ყველაფერს, საბანკო სექტორსაც უპირატესობებთან ერთად გააჩნია ნაკლოვანებებიც. საბანკო სექტორს აქვს ისეთ ნაკლოვანებები, მაგ: როგორცაა ეკონომიკის რეცესიის დროს პირობების გამკაცრება სხვა სექტორებთან და საფონდო ბირჟასთან შედარებით. ამ დროს საპროცენტო განაკვეთი მკვეთრად იზრდება.

ზემოთ აღნიშნული საბანკო სისტემა იდენტურია საქართველოშიც. წლების განმავლობაში კერძო სექტორის ძირითადი დამფინანსებლები იყვნენ ბანკები, თუმცა ბოლო პერიოდში დაფინანსება შემცირდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი, ბაზარზე კრედიტორთა რიცხვის შემცირებაა რომელიც წლების წინ დაიწყო და დღემდე გრძელდება. კონკრეტულად, დიდი ბანკები ბაზრიდან გავიდნენ (ბოლო მონაცემებით Bank Republic შეისყიდა TBC ბანკმა ხოლო ProCredit Bank -საქართველოს ბანკმა შეირწყა) და დარჩნენ წვრილი ბანკები, რომელთა გეგმები გაურკვეველია. არ არის გამორიცხული, რომ მათაც დათმონ პოზიციები და გავიდნენ ბაზრიდან. ამ სიტუაციაში აუცილებელი ხდება სხვა სექტორების აქტიური ხელშეწყობა, საფონდო ბირჟის ამოქმედება, რაც აქამდე არ მოხდა კაპიტალის ბაზრის სახელმწიფოს მხრიდან არაპრიორიტეტულობის გამო.

იბადება კიდევ ერთი საინტერესო კითხვა თუ რა არის უკეთესი, რომ გვექონდეს უფრო მეტად განვითარებული საფონდო ბირჟა თუ საბანკო სექტორი? შეიძლება ითქვას, რომ ამ ორ საფინანსო სისტემას თანაბარი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკური განვითარებისთვის და ბაზარზე ერთად ფუნქციონირება ერთმანეთს ხელს არ უშლის. თუ ამ ორიდან კონკრეტულად რომელიმე აღმოჩნდა კრიზისში, სახელმწიფოს ექნება ალტერნატიული საშუალება აამოქმედოს მეორე.

გლობალური ფინანსური კრიზისის დროს ბანკთა შემოსავლები უპრეცედენტოდ შემცირდა. ასეთი გაუარესება გავლენას ახდენს ბანკის წარუმატებლობაზე ხშირად ბანკის ჩავარდნები და საბანკო კრიზისები, უარყოფითად მოქმედებს ზოგადად ეკონომიკაზე. აქედან გამომდინარე სათანადოდ წარმართულ საბანკო ინდუსტრიას უკეთესად შეუძლია თავი აარიდოს უარყოფით შოკებს და ხელი შეუწყოს ფინანსური სისტემის სტაბილურობას.

აზიის ფინანსური კრიზისის შემდგ, რიგ ქვეყნებში ძირითადი ინიციატივა იყო საბანკო სექტორის დერეგულირება, რაც უცხოურ ბანკების სხვა ქვეყანის ფინანსურ ბაზარზე შესვლის საშუალებას მისცემდა და გამოიწვევდა ბანკების კონსოლიდაციებს. დიდ ბანკებს აქვთ ხარჯების შემცირების შესაძლებლობა, ამიტომ მათ შეუძლიათ დააბანდონ აქტივები სხვა ქვეყანაში. მათთვის რისკები დაბალია, რადგან ისინი მუშაობენ თუნდაც მცირე საპროცენტო მარჟებზე, რადგან მათ გააჩნიათ მეტი რესურსები და უფრო ინოვაციურ პრაქტიკას ნერგვენ და უარყოფით გავლენას ამცირებენ, მათ შეუძლიათ მომვალში სესხებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთების დადგენა, რაც გაზრდის ბანკების ინტერესს ეფექტურად გაანაწილოს ფინანსურ რესურსები.

ასეთი ფინანსური ლანდშაფტის ფონზე გლობალიზაცია გავლენას ახდენს ბანკებზე და ამ დროს ბანკები მუშაობენ ორი ძირითადი მიმართულებით - მომგებიანობა და ხარჯების ეფექტურობა. ბოლო ორ ათწლეულში აღინიშნება ფინანსური გლობალიზაციის ზრდა, განსაკუთრებით დაბალი შემოსავლის ქვეყნებსა და განვითარებად ბაზრებზე.

ბანკის მოგება მნიშვნელოვანია და დამოკიდებულია აქტივების ბრუნვალობაზე და განისაზღვრება კომერციული ბანკის წმინდა შემოსავლით გადასახების გადახდის

შემდგევ. ROA ასახავს ბანკის მენეჯმენტის შესაძლებლობას რამდენად ეფექტურად მართავენ კომპანას და ის ასახავს ბანკის აქტივების შემოსავლიანობას (მომგებიანობას). ასევე უნდა განისაზღვროს წმინდა საპროცენტო ზღვარი (NIM) - რომელიც განსაზღვრავს დამოკიდებულებას ბანკის საპროცენტო შემოსავლებსა და საპროცენტო ხარჯების შორის.

ხარჯების ეფექტურობა იზომება ბანკების ზედნადები ხარჯების აქტივებთან თანაფარდობით (OCA). განისაზღვრება, როგორც საოპერაციო ხარჯები, როგორცაა ადმინისტრაციული ხარჯები, ხელფასები და თანამშრომლებისთვის კომპენსაცია, სარეკლამო ხარჯები, ქონების ხარჯები, ბანკების საპროცენტო გადასახადებისა და გადასახადების ექსკლუზივი. უმაღლესი OCA ასახავს მეტი ღირებულების არაეფექტურობას.

ბევრ ბანკს აქვს სავაჭრო ინსტრუმენტების პორტფოლიო, მოკლევადიანი მოგებით. ეს პორტფოლიოები მოხსენიებულია როგორც სავაჭრო წიგნები, სადაც ვლინდება ბაზრის რისკი, რისკი რომელსაც იწვევს სავაჭრო ინსტრუმენტების ფასების ცვლილება, როგორცაა ობლიგაციები, აქციები და ვალუტა. სავაჭრო რისკის მნიშვნელოვანმა დანაკარგმა, რომელიც განხორციელდა 2008 წლის კრიზის დროს, ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ აუცილებელი იყო გლობალური რისკის ჩარჩოს გაუმჯობესება. როგორც უფრო მეტი კონტროლის მექანიზმი 2009 წლის ივლისში ბაზელის კომიტეტმა შემოიღო 2.5 ჩარჩო, ამ ჩარჩოს გაშუქებას გარკვეულ სფეროებში უნდა გაეზარდა საერთო დონე კაპიტალის მოთხოვნებზე, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საკრედიტო და სავაჭრო ინსტრუმენტების რისკებზე. (მათ შორის უსაფრთხოების ზომებზე).

თავდაპირველად ახალი წესების იმპლემენტაცია დაგეგმილი იყო 2019 წლისთვის. ამ დროისთვის შეიქმნა მკაცრი კრიტერიუმები სავაჭრო წესებისათვის. ამან გამოიწვია შიდა მოდელის მეთოდოლოგიის გადაფასება კრიზის დროს დაფიქსირებულ რისკებზე. გაძლიერდა მეთვალყურეობის პროცესი, დამტკიცდა შიდა გამოყენების მოდელები და მოხდა ახალი მოდელის დამატებაც. **2018 წელს კომიტეტმა შემოგვთავაზა მიზნობრივი ვერსიები, რომელიც შეეხებოდა ბაზრის რისკს, რისკის**

შეფასებასთან დაკავშირებული ჩარჩო განსაზღვრავს საბანკო რისკს შიდა მართვის მოდელის მიხედვით.

2012 წლიდან კომიტეტმა დაიწყო სავაჭრო წიგნის ფუნდამენტური მიმოხილვა. ამ ყოვლისმომცველი მიმოხილვით ცდილობდა განესაზღვრა ბაზრის მდგომარეობისა და შეფასებაში არსებული არაადეკვატური რისკის ჩარჩო შიდა მოდელები და სტანდარტიზებული მიდგომები. ღონისძიებები მიმართული უნდა იყოს ყველაზე ცუდი და მოსალოდნელი ზარალი თვადიდან აცილებაზე. ასეთი პროგნოზის შედეგად ბანკებს ეძლევა მეტ დრო და თავდაჯერებულობის დონეც მაღლა იზრდება. VAR არის დამატებული და var-ის ხარვეზები შესამჩნევია ექსტრემალური რისკის აღებისას. შესწორებები განმარტავს ბაზარზე არსებულ პოზიციებს რისკის ჩარჩოში, მათ შორის, ინვესტიციების განხორციელებისას უცხოური ვალუტის პოზიციების სახსრებსა და მკურნალობაზე. რევიზიები გულდასმით ათვალყურებენ მოგებასა და ზარალს. კომპეტენციური ტესტირება უკეთესად განასხვავებს კარგ და ცუდ მოდელირების წარმოდგენას. მიზანმიმართული ცვლილებები უბიძგებს ზემოქმედების შესახებ არასამთავრობო რისკიან ფაქტორებს. რევიზიები უკეთესად არეგულირებენ უცხოური ვალუტის კურსს, მისი პარამეტრები და ინდექსები დაკავშირებულია რისკებთან. რისკის დონე ზოგადად საპროცენტო განაკვეთით 30%-ით მცირდება და FX რისკის დონე 50%-ით. ბანკები შედარებით მცირე ან მარტივ სავაჭრო პორტფელს იყენებენ და ამჯობინებენ ბაზელის 2.5 სტანდარტიზირებულ მიდგომას, რომელიც ზედამხედველობას ექვემდებარება. ბაზელის 2.5-თან შედარებით შესწორებული ჩარჩო შეფასებულია საშუალოდ საბაზრო რისკის კაპიტალის მოთხოვნების 22% გაზრდით. ბაზრის რისკის მიხედვით შეწონილი აქტივობები (RWAs) საშუალოდ 5% -ით აღემატება, ბაზელის 2.5-ს 4%-ით.

განვიხილოთ და შევადაროთ ბაზრის შესწორებული ჩარჩოს ძირითადი მახასიათებლები მიმდინარე ბაზელის 2.5 ჩარჩო 2010, 2016 და 2019 წლების ვარიანტები.

მიმდინარე ბაზელის 2.5 ჩარჩო (შესწორებული 2010 წელს).

სავაჭრო წიგნის ინსტრუმენტის გადაცემა ვაჭრობასთან დაკავშირებით პირველ რიგში ბანკის განზრახვას ეყრდნობა.

1) სუსტი გამოსავალი: სუსტი განმარტება უზრუნველყოფს შესაძლებლობას ბანკების განმარტების შესახებ, მთელი სავაჭრო ბუღალტრული წიგნების საზღვრებზე დევნასა და ქვედა კაპიტალის მოთხოვნებს.

2) ბანკების მიერ მოდელის გამოყენება და შემოწმება. შიდა მოდელის დამტკიცება/მოხსნა განისაზღვრება ბანკის მასშტაბით: მოდელის დამტკიცების პროცესები და სავაჭრო ხერხების გამოყენება ცუდად პოზიციონირებული რისკების უარყოფა/წაშლის შეფასებისთვის, რომლებიც მოდელის გამოყენებისთვის შეუსაბამოდ ითვლება.

3) რისკის შეფასება. შიდა მოდელირების მეთოდი კაპიტალის მოთხოვნებში, რომელიც პირველ რიგში განსაზღვრავს მოდელირების ღირებულებას და დაკავშირებულია რისკებთან.

4) რისკის გაზომვა. სტანდარტიზირებული მიდგომა. რისკის გაზომვა, ექსპოზიცია, ბლოკის მეთოდი. გამოყოფა: მოქველებული რისკის დაკალიბრება და სენსიტიური რისკი, ემსახურება სანდო შეფასებასა და შიდა მოდელირებას.

სტანდარტული. (გამოშვებული 2016 წელს)

1) მკაცრი საზღვარი მკაფიოდ განსაზღვრავს შესაბამის შინაარსს სავაჭრო წიგნში და ზღუდავს თვითნებურ რეაგირებას.

2) მოდელის დამტკიცება/მოხსნა. უფრო მკაცრი კაპიტალის მოთხოვნები დამოუკიდებლად განისაზღვრება.

3) მოსალოდნელი შეფერხების განსაზღვრა, VAR-ის სეცვლა, NMRF ცალკე გამოყოფა, სტანდარტიზირებული მიდგომისა და სავაჭრო ხერხების შეცვლა, რომლებიც ვერ მოახერხებენ მოდელის დამტკიცებასა და შეფასებას.

თავი 3 საქართველოს საბანკო სექტორის მდგრადობა

3.1 კომერციული ბანკების კაპიტალიზაციის თავისებურებები საქართველოში;

ქვეყნის საბანკო სექტორის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია საბანკო მომსახურების ბაზარზე უცხოური კაპიტალის შემოდინება. უცხოური კაპიტალის შემოდინებას საბანკო სექტორში თან ახლავს თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ფინანსური პროექტების დანერგვა, საბანკო დანესებულებებს შორის კონკურენციის გაზრდა, საბანკო საქმის სრულყოფა და საკრედიტო ორგანიზაციებში კორპორაციული მართვის კულტურის ამაღლება, კორპორაციული მართვის ხარისხის ამაღლება, ასევე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო პრინციპების, სატანდარტების ეფექტიანი და სრულყოფილი რეალიზება, რაც აუცილებელია საქართველოს საბანკო სექტორში, რათა მოიზიდოს უცხოური ინვესტიციები.

ქვეყნები ღღესაც განიცდიან ინვესტიციების მწვავე ნაკლებობას, რამდენადაც შესაბამისი ბაზრები და ინსტიტუტები ვერ ჩამოყალიბდა სრულყოფილად და მათი როლი ეკონომიკაში კვლავ დაბალი დარჩა. შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკის კაპიტალიზაციის დონე დაბალი დარჩა გამომდინარე განხორციელებული ეკონომიკური რეფორმებისა.

კაპიტალიზაცია კაპიტალის მოცულებას, ის განისაზღვრება საბაზრო ღირებულებით. კაპიტალიზაციის ზრდა არა მარტო საწარმოების ფინანსურ პრობლემებს გადაჭრის, არამედ იგი ახდენს სხვადასხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტების დანაზოგების ფორმირებას. თანამედროვე ფინანსურ და ეკონომიკურ ლიტერატურაში „კაპიტალიზაცია“ გამოიყენება სხვადასხვა მნიშვნელობით:

კაპიტალიზაცია, როგორც:

- კაპიტალიზირებული პირობითი შემოსავლების გაანგარიშების პროცესი,
- ფასიანი ქაღალდების გამოშვება ძირითადი აქტივების დასაფინანსებლად,
- კაპიტალის მოზიდვა კომპანიებსა და ორგანიზაციებში,
- საკუთარი კაპიტალის წილი კაპიტალის საერთო რაოდენობაში,
- კაპიტალში ახალი აქციების გამოშვება და გადაცემა შიდა აქციონერებზე,

- კომპანიის ყველა აქციის საერთო ღირებულება მიმდინარე ფასში.

ყველა ეს განსაზღვრება სხვადასხვა მიზანს ემსახურება, მაგრამ კაპიტალიზაციის მნიშვნელობის ორ ძირითად შინაარსზე დაყვანა შეგვიძლია: **პირველი** - ასახავს ფულადი ნაკადების დამატებით ღირებულებაში გარდაქმნის პროცესს და **მეორე** - ასახავს ამ პროცესის შედეგს.

ნაშრომში აქცენტი გაკეთდება სწორედ ამ ორ მიმართულებაზე, რაც ძირითადად ღირებულების ზრდის პროცესსა და მის ეკონომიკური შინაარსს ასახავს. როგორც ვიცით კაპიტალიზაცია მოიცავს როგორც წარმოებას, ასევე მიმოქცევას და ისინი შესაძლებელია განხილული იქნეს: პირველი - სანარმოო ურთიერთობების თვალსაზრისით, როგორც კაპიტალის ცენტრალიზაციისა და კონცენტრაციის სახით და მეორე - საბაზრო მიმოქცევის თვალსაზრისით, როგორც აქციების კურსის ფორმირება და ცვლილება.

კაპიტალიზაციის პროცესის ხასიათიდან გამომდინარე, განასხვავებენ მატერიალურ და მარკეტინგულ რესურსების კაპიტალიზაციას. მატერიალური რესურსების კაპიტალიზაცია ემყარება სანარმოს შესაძლებლობების ეკონომიკურ და ფინანსურ მაჩვენებლებს ხოლო მარკეტინგული კაპიტალიზაცია ასახავს მათ ცნობადობას საზოგადოებაში.

კაპიტალიზაციის მაჩვენებელი არის ბანკის საქმიანობაზე ზემოქმედების გამომხატველი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. კაპიტალიზაციის შეფასებით ხდება კომერციული ბანკების საბაზრო რეიტინგის განსაზღვრა. იგი მის საკრედიტო მიზიდულობის პირობას ქმნის. კაპიტალიზაცია ინვესტიციური მიმზიდველობის მაჩვენებელია. დანაზოგების ტრანსფორმირება ინვესტიციებში კაპიტალიზაციის მაჩვენებელია და არის ძალიან მნიშვნელოვანი, რამდენადაც მის ზომასა და მასშტაბებზეა დამოკიდებული ეკონომიკის განვითარება.

კაპიტალიზაციაზეა დამოკიდებული სანარმოების სტაბულოების მაჩვენებელიც. უნდა განვასხვავოთ კაპიტალიზაცია და კაპიტალის დაგროვება, მიუხედავად იმისა რომ შინაარსობრივად ერთმანეთთან ძალიან ახლოს დგას, თუმცა კაპიტალის დაგროვება არის კაპიტალიზაციის მხოლოდ ზოგადი ფორმა, ხოლო კაპიტალიზაცია კი არის არა

მარტო მისი შინაარსი, არამედ მისი წინაპირობაც და გამოხატავს არა მარტო დაგროვების, არამედ ფულადი საშუალებების წარმოების ფაქტორებად გადაქცევას. კაპიტალიზაცია ინვესტიციური მიმზიდველობის მაჩვენებელია. დანაშოგების ტრანსფორმირება ინვესტიციებში კაპიტალიზაციის მაჩვენებელია და არის ძალიან მნიშვნელოვანი, რამდენადაც მასზეა დამოკიდებული ეკონომიკის განვითარება.

საბაზრო კაპიტალიზაცია არის კომპანიების მიერ გამოშვებული ყველა აქციის საერთო საბაზრო ღირებულება. ეს არის ეკონომიკური ობიექტის ღირებულების ფულადი გამოხატულება. იგი გამოითვლება როგორც მიმოქცევაში აქციების რაოდენობის გამრავლებით ერთი აქციის საბაზრო ფასზე. ეს მაჩვენებელი გამოიყენება, იმისათვის, რათა დადგინდეს კომპანიის ზომა და არის ისეთი მაჩვენებლების ალტერნატივა, როგორიცაა გაყიდვების მოცულობა და აქტივების ღირებულება. შესაბამისად განსხვავდება საფონდო ბაზრის, ფასიანი ქაღალდებისა და სააქციო საზოგადოების საბაზრო კაპიტალიზაციისგან.

ფასიანი ქაღალდების საბაზრო კაპიტალიზაცია - ესაა მიმოქცევაში გამოშვებული ფასიანი ქაღალდის საბაზრო ღირებულება. სააქციო საზოგადოების საბაზრო კაპიტალიზაცია გამოხატავს სააქციო საზოგადოების მიერ გამოშვებული ყველა აქციის საბაზრო ღირებულებას და იანგარიშება როგორც აქციების ნამრავლი მათ ღირებულებაზე, ხოლო საფონდო ბაზრის საბაზრო კაპიტალიზაცია არის ამ ბაზარზე ყველა აქციის და ფასიანი ქაღალდის ღირებულებათა ჯამი.

დღეისათვის საქართველოს ფინანსური სექტორის უდიდესი ნაწილი მოდის კომერციულ ბანკებზე. კაპიტალის ბაზრების როლი მოკრძალებულია. სტრატეგიით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების შედეგად ბაზრების როლი ფინანსური რესურსების განაწილებაში მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს.

თვალსაჩინოებისათვის გამოვიყენებ ცხრილს:

ცხრილი №1. საქართველოს ეროვნული ბანკი, ფინანსური სექტორის აქტივები საქართველოში²²

№	ფინანსური სექტორი	აქტივების წილი
---	-------------------	----------------

²² საქართველოს ეროვნული ბანკი, მოძიებულია: 08.07.2019, <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2>

1	კომერციული ბანკები	91,90%
2	არასაბანკო სექტორი (მისო+საკრედიტო კავშირები)	5,92%
3	საბროკერო კომპანიები	2,06%
4	სადაზღვეო კომპანიები	0,12%

დღეისთვის საქართველოში მუშაობს და გარკვეულ დონეზე განვითარებულია სავალუტო სპოტ, ბანკთაშორისი ფულადი (სესხები-დეპოზიტები) და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების და ბანკთაშორისი მეორადი ბაზარი. მართალია ამ სეგმენტების განვითარებაზე ზრუნვა კვლავაც აუცილებელია და გაგრძელდება, თუმცა მათ უკვე შექმნეს საჭირო ფუნდამენტი კაპიტალის ბაზრის სხვა სეგმენტების ამოქმედებისათვის. სავალუტო სპოტ ბაზარი, მართალია მცირე მოცულობისაა, მაგრამ საკმაოდ ლიკვიდურია, კომპანიებს და ფიზიკურ პირებს შეუძლიათ შეუფერხებლად გადაცვალონ ერთი ვალუტა მეორეზე. იგივე შეიძლება ითქვას არარეზიდენტ ინვესტორებზე, რომელთაც პერიოდულად წარომეშობათ ლარის ყიდვის და შემდგომ გაყიდვის საჭიროება ქართულ ბაზარზე ოპერირებისას. კურსი არის მცურავი და კურსის წარმოაქმნა მთლიანად ეფუძნება საბაზრო პრინციპებს. ცენტრალური ბანკის ჩარევა მინიმალურია და იშვიათი ინტერვენციებით შემოიფარგლება, რომლებიც თავის მხრივ, საბაზრო აუქციონის პრინციპს ემყარება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომერციული ბანკების კრებისითი აქტივებისა და პასივების დინამიკა 2010-2019 წლების ბოლო თვეების მიხედვით ათას ლარებში.

ცხრილი №2. საქართველოს ეროვნული ბანკი, კომერციული ბანკების კრებისითი აქტივებისა და პასივების დინამიკა²³

მთლიანი აქტივები	ინვესტიციები კაპიტალში	წმინდა სესხები	მთლიანი პასივები	ბანკების დეპოზიტები	არასაბანკო დეპოზიტები
------------------	------------------------	----------------	------------------	---------------------	-----------------------

²³ საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს ეროვნული ბანკი, მოძიებულია: 08.07.2019, <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2>

2010	10,564,217	436,274	5,673,214	10,564,217	328,925	5,488,728
2011	12,679,085	287,159	7,202,713	12,679,085	607,228	6,744,967
2012	14,354,701	369,406	8,124,213	14,354,701	553,503	7,649,851
2013	17,271,874	354,032	9,862,813	17,271,874	623,300	9,664,597
2014	20,617,351	504,871	12,266,618	20,617,351	808,419	11,617,066
2015	25,165,410	134,625	15,070,123	25,165,410	1,158,303	14,346,765
2016	30,149,324	477,957	17,756,915	30,149,324	1,311,382	16,990,963
2017	34,593,504	183,643	21,131,477	34,593,504	1,093,820	19,782,019
2018	39,682,984	173,518	25,290,752	39,682,984	868,468	23,035,645
2019	39,984,467	171,896	25,360,322	39,984,467	961,026	23,129,338

მოცემული დინამიკის მიხედვით საქართველოში კომერციული ბანკების აქტივები და პასივები მზარდი ტენდენციით გამოიჩინა, რაც კაპიტალიზაციის ზრდაზე მიანიშნებს, ასევე მნიშვნელოვანია ინვესტიციები ზრდა, მაგრამ 2016 წლამდე ინვესტიციები საგრძნობლად მცირდება და ამავე წელს ნახტომისებური ზრდა გვაქვს, თუმცა შემდგომში ისევ მცირდება, თუ გადავხედავთ სესხებს ყოველ წლიურად ზრდა აღინიშნებოდა, ბანკთაშორის სესხები 2017 წლამდე იზრდებოდა და ამავე წელს შემცირება დაიწყო 2010 წლის ბოლოს ბანკთაშორის სესხები 300 მილიონი იყო ხოლო 2016 ბოლოს 1 მილიარდ 300 მილიონი იყო დღეისათვის კი 900 მილიონაა, რაც შეეხება არასაბანკო დეპოზიტებს იგი 5-დან 23 მილიარდამდე გაიზარდა და ამ წლების განმავლობაში კლების ტენდენცია არ შეინიშნებოდა.

განვიხილოთ ბანკების შემოსავლები და ხარჯები გარკვეულ მუხლების ჭრილში 2010-2019 წლების ბოლო თვეების ფინანსური მაჩვენებლები და მოცემულია ათას ლარებში

ცხრილი №3. საქართველოს ეროვნული ბანკი, ფინანსური მაჩვენებლები²⁴

	შემოსავლები	საპროცენტო შემოსავლები	ხარჯები	საპროცენტო ხარჯები
2010	139,528	108,319	130,935	45,218
2011	171,344	125,462	131,009	64,369
2012	174,004	131,259	151,521	60,651
2013	201,628	149,994	189,452	64,221
2014	262,310	174,569	153,755	64,632
2015	292,907	216,557	190,260	90,114
2016	351,053	227,442	213,879	94,175
2017	403,272	275,696	228,030	118,121
2018	392,443	296,864	255,949	133,932
2019	357,612	283,755	284,370	129,864

კაპიტალიზაციისათვის მნიშვნელოვანია ასევე შემოსავლების მათ შორის საპროცენტო შემოსავლების ზრდა, რომელიც 2010-2019 წლების ფინანსურ მაჩვენებლებში ნათლად ჩანს. შემოსავლები 2010-2017 წლებში ირდებოდა ხოლო მიმდინარე და გასულ წელს უკვე შემცირდა, 2010 წელს შემოსავლები 140 მილიარდი ლარი იყო მას შემდეგ 2017 წელს უკვე 400 მილიარდი დაფიქსერდა, ხოლო დღეს 350 მილიარდია. შემოსავლების შემცირებასთან ერთად სპროცენტო შემოსავლებიც უნდა შეცვლილიყო, თუმცა პირიქით მოხდა ბოლოწლებში შემოსავლები შემცირდა მაგრამ მიმდინარე წლამდე იზრდებოდა საპროცენტო შემოსავლები მიმდინარე წელს კი წინა

²⁴ საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს ეროვნული ბანკი, მოძიებულია: 08.07.2019, <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2>

წელთან შედარებით 13 მილიონი ლარით შემცირდა. რაც შეეხება ხარჯებს ის ყოველ წლიურად იზრდებოდა შესაბამისად იზრდებოდა საპროცენტო ხარჯებიც.

ცხრილი №4. საქართველოს ეროვნული ბანკი, ფინანსური ინსტიტუტები²⁵

	კომერციული ბანკები				მიკროსაფინანსო ორგანიზაციები	ვალუტის გადამკვლევლი პუნქტები	საფონდო ბირჟები
	სულ	უცხოური კაპიტალის მონაწილეო	არარეზიდენტი ბანკები	ბანკების ფილიალები ოდენობა			
2010	19	16	2	117	49	1627	1
2011	19	18	2	118	62	1522	1
2012	19	17	3	122	62	1031	1
2013	21	20	2	162	67	1090	1
2014	21	19	2	166	70	1118	1
2015	19	18	1	140	70	1159	2
2016	16	14	1	143	81	1200	2
2017	16	15	-	134	75	1126	2
2018	15	14	-	135	67	1018	2
2019	15	14	-	134	58	900	2

ფინანსური ინსტიტუტები 2010 წლიდან დღემდე დიდი ცვლილება არ იყო კომერციულ ბანკებში, იყო 19 კომერციული ბანკი აქედან 16 ბანკი უცხოური კაპიტალის მონაწილეობით შექმნილ და ორი არარეზიდენტი ბანკი და ერთი ადგილობრივი კაპიტალით შექმნილი დღეს კი 15 ბანკი გვაქვს აქედან 14 უცხოური კაპიტალის მონაწილეობით, ბანკების მაქსიმალური რიცხვი 2013-2014 წლებში დაფიქსირდა 21 ბანკი აქედან 20 უცხოური კაპიტალის მონაწილეობით შექმნილი და ორი არარეზიდენტი ბანკი. ამავე წლებში დაფიქსირდა ბანკების ფილიალების მაქსიმალური ოდენობა 166 ფილიალი. რაც შეეხება მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს 2010 წლისათვის 49 მისო იყო 2016 წელს დაფიქსირდა მაქსიმალური რაოდენობა 81 ხოლო მას შემდეგ 58-მდე

²⁵ საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს ეროვნული ბანკი, მოძიებულია: 08.07.2019, <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2>

შემცირდა, ვალუტის გამცვლელი პუნქტები კლების ტენდენციით ხასიათდება, ხოლო საფონდო ბირჟები 2015 წლამდე 1 საფონდო ბირჟა იყო ხოლო შემდეგ უკვე 2 გახდა.

უცხოელი ინვესტორების დაინტერესება და ნდობის მოპოვება საბანკო სექტორისათვის წარმოადგენს საერთაშორისოდ აღიარებულ დამოუკიდებელი სარეიტინგო კომპანიების მიერ ბანკების შეფასებას და რეიტინგის მინიჭებას. ასევე მნიშვნელოვანია სარეიტინგო კომპანიების მიერ ქვეყნისათვის რეიტინგის განსაზღვრა. ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია მაგალითად 2005 წლის დეკემბერში კომპანია „Standard & Poor’s“-ის მიერ გრძელვადიანი სუვერენული საკრედიტო რეიტინგის „B+“ ხოლო მოკლევადიანი სუვერენული საკრედიტო რეიტინგის „B“ მინიჭება იყო.²⁶ საკრედიტო რეიტინგის მინიჭება ზრდის ინვესტორთა ნდობას, რაც ბანკებს აძლევს საშუალებას იათად მოიზიდოს საკრედიტო რესურსები.

ინვესტორებმა შეიძლება უარი განაცხადონ დაფინანსებაზე იმის გამო, რომ ბანკს არ გააჩნია მდგრადი დაფინანსების მოდელი, რომლისთვისაც ყველა ბანკი ცდილობს ჰქონდეს მდგრადი ადგილი ბაზარზე, ასევე განახორციელოს კაპიტალიზაცია. თუ ბანკს არ გააჩნია მდგრადობა, მაშინ ინყებს თავისი დანაზოგების გადარჩენაზე ზრუნვას და რისკის ქვეშ აყენებს თავის არსებობას. მისთვის უფრო მიმზიდველია ასეთი რისკები აქციონერებს დააკისროს, თუმცა დამფინანსებლისთვის სრულიად უინტერესოა განახორციელოს ისეთი კაპიტალიზაცია, რომელიც არ იქნება მდგრადი. ბანკების განვითარების მდგრადობის მოდელის და მოსალოდნელი ზემოქმედების განსაზღვრა ინვესტორებისთვის მნიშვნელოვანია, რათა დააფინანსონ ბანკები დაინტერესების შემთხვევაში.

3.2 საბანკო სექტორის რეგულირება და მონიტორინგი

საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციებისათვის აუცილებელია საქმიანობის რეგულირების ანალიზი, რაც საჭიროა საქართველოს საფინანსო-საკრედიტო სისტემის,

²⁶ საქართველოს ეროვნული ბანკი, „საქართველოს საბანკო სისტემის განვითარების სტრატეგის 2006-2009 წლებისათვის“, სტატია, თბილისი 2006, გვ 19

ფულადი კაპიტალის და გადახდის მომსახურების ერთიანი ბაზრის შესაქმნელად, ამასთან ერთად დაცული უნდა იყოს სამართლებრივი გარემო.

საბანკო რეგულირება წარმოადგენს ქვეყნის საფინანსო-საკრედიტო სისტემაში მნიშვნელოვან სამართლებრივ ელემენტს, რომელიც, თავის მხრივ, არის ბანკების მიმართ მოთხოვნათა დაცვის სპეციფიკური სისტემა და იგი განსახვავდება სხვა იურიდიულ პირების მიმართ წაყენებული მოთხოვნებისაგან. საბანკო ზედამხედველობის არსი ფართო გაგებით არის კონტროლი ამ სპეციფიკური მოთხოვნების დაცვა, რომელებიც ბანკებს ეკისრებათ, ხოლო ვიწრო გაგებით საბანკო ზედამხედველობაა. ეს არის - იმ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლითაც რწმუნებული ორგანო არეგულირებს და კონტროლს უწევს საკრედიტო ორგანიზაციებისთვის დაწესებული ეკონომიკური ნორმატივების დაცვას, კერძოდ, აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი სახსრების მდგომარეობას გამომდინარე განვითარებული ქვეყნების საკანონმდებლო აქტებიდან.

საბანკო რეგულირებისა და ზედამხედველობის მთავრია მიზანია საბანკო სისტემის სტაბილურობის შენარჩუნება, კომერციული ბანკების საიმედოობის და მდგრადობის უზრუნველყოფა, შესაძლო რისკის თავიდან აცილება და ამ გზით კომერციული ბანკების, მენაბრეთა და სხვა კრედიტორთა, აგრეთვე საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს ინტერესების მაქსიმალურად დაცვა. საბანკო ზედამხედველობის მარეგულირებელი ორგანოს ამოცანაა, ასევე მომხმარებლის უფლებათა დაცვა, ვინაიდან მომსახურების ხარისხობრივი მაჩვენებელი არის კომერციული ბანკების მომსახურება ან არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებების საიმედოობა. ამრიგად, საბანკო ზედამხედველობის მთავარი ამოცანაა არა კონკრეტული კრედიტების და მენაბრების დაცვა, არამედ საბანკო სისტემის სტაბილურობის შენარჩუნება ე.ი. არ დაუშვას სისტემური კრიზისი, როდესაც რამოდენიმე ბანკის საფინანსო პრინციპები იწვევენ საბანკო სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილის ლიკვიდობის დარღვევას.

საბანკო ზედამხედველობის განუვითარებლობა გარდამავალი ეკონომიკის პირობებში იწვევს:

1. ეროვნული მეურნეობის სუბიექტების საბანკო დაწესებულებების მიმართ უნდობლობას;

2. სათანადო ინფორმაციის არ არსებობის გამო კლიენტებს ფაქტიურად არა აქვთ ბანკის რაციონალური შერჩევის საშუალება;

3. პანიკური განწყობის წარმოქმნის შესაძლებლობის მაღალ დონეს;

4. საკრედიტო რესურსების შესაძლებელ გადადინებას უფრო მყარი საბანკო სისტემის ქვეყნის ბანკებში, რაც მთლიანობაში უარყოფითად მოქმედებს საბანკო სისტემის სტრატეგიულ პერსპექტივებზე. საბანკო სისტემის ზედამხედველობისა და რეგულირების ამოცანები საფინანსო-საკრედიტო სისტემის სტაბილურობის ამალღების მიზნით შესაძლოა მიმართული იქნეს ზემოაღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად.²⁷

კომერციულ ბანკებს ზედამხედველობას უწევს საქართველოს ეროვნული ბანკი, რომლის ძირითადი ამოცანაა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა, ასევე უნდა უზრუნველყოს საფინანსო სისტემის სტაბილურობა და გამჭვირვალობა და ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში მდგრად ეკონომიკურ ზრდას, თუ ეს შესაძლებელია ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მისი ძირითადი ამოცანის შესრულებას. ეროვნული ბანკის ფუნქციაა თავიდან ერთერთი არის საფინანსო სექტორის ზედამხედველობა. ეროვნული ბანკი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონი

საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ კანონით, საქართველოს კანონმდებლობით და ეყრდნობა საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში მიღებულ წესებსა და ჩვევებს. მას უფლება აქვს, დამოუკიდებლად დადოს ხელშეკრულებები, დამოუკიდებლად შეიძინოს უძრავი და მოძრავი ქონება და ფლობდეს და განკარგავდეს მას, გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ, დამოუკიდებლად შეასრულოს მისთვის დაკისრებული ფუნქცია. ეროვნული ბანკი თავისი კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობს სხვა ქვეყნის შესაბამის საფინანსო სექტორის ზედამხედველობის

²⁷ ბარბაქაძე ხ., ბანკების საქმიანობის რეგულირების ცნება და ეკონომიკური მნიშვნელობა, სტატია <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1----0-10-0---0---0prompt-10--4-----0-1|--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-OutfZz-8-00&cl=CL1.7&d=HASHf556b9ce00fb24a2b8b577.3&x=1>, მოძიებულია 30/04/2019

ორგანოსთან. ასეთი თანამშრომლობა შეიძლება მოიცავდეს ინფორმაციის გაცვლას ეროვნულ ბანკსა და სხვა ქვეყნის შესაბამის საფინანსო სექტორის ზედამხედველობის ორგანოს შორის, იმ პირობით, რომ აღნიშნული ორგანო დაიცავს ამ გზით მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობას.

ეროვნული ბანკი ერთიანი, ცენტრალიზებული სისტემაა და იგი ამ კანონის საფუძველზე განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულების ჩამოყალიბების, ფუნქციონირებისა და გაუქმების წესებს. ეროვნული ბანკის მმართველია ცენტრალური ბანკის პრეზიდენტი, რომელიც ეროვნული ბანკის საბჭოს თავმჯდომარეცაა, საბჭო 7 წევრისაგან შედგება და იგი წამოადგენს ეროვნული ბანკის უმაღლეს ორგანოს. ეროვნული ბანკის საბჭოს უფლებამოსილებათაგან ერთერთია საფინანსო სექტორის საქმიანობის ზედამხედველობა და რეგულირების ძირითადი მიმართულება.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით იქმნება ეროვნული ბანკის საფინანსო სექტორის ზედამხედველობის კომიტეტი. საფინანსო სექტორის ზედამხედველობის კომიტეტი უფლებამოსილია: განიხილოს და შეიმუშაოს საფინანსო ზედამხედველობის რეგულირებასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები, განიხილოს საფინანსო სექტორის წარმომადგენელთა შინაგანი ეროვნული ბანკის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. საფინანსო სექტორის ზედამხედველობის კომიტეტის ფუნქციას წარმოადგენს საფინანსო სექტორის საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება.²⁸

საფინანსო სექტორის ფინანსური მდგრადობისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობა, მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების დაცვა ეროვნული ბანკის ამოცანაა. ამ ამოცანის შესასრულებლად ეროვნული ბანკი ვალდებულია ხელი შეუწყოს საფინანსო სისტემის სტაბილურ და ეფექტიან ფუნქციონირებას, კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებას, სისტემური რისკის კონტროლს, პოტენციური რისკების შემცირებას.

ეროვნულ ბანკს მინიჭებული აქვს სრული უფლებამოსილება, ზედამხედველობა გაუწიოს კომერციული ბანკებს, საბანკო ჯგუფებს, არასაბანკო სადებოზიტო

²⁸ საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ, მუხლი 16¹

დანესებულებებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს და სხვა ორგანიზაციებს. ეროვნული ბანკი საზედამხედველო ფუნქციების შესასრულებლად უფლებამოსილია გამოსცეს შესაბამისი დადგენილებები და ბრძანებები, განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები, გასცეს წერილობითი მითითებები, დაანესოს დამატებითი მოთხოვნები, შესაბამისი შეზღუდვები ან/და სანქციები.

კომერციული ბანკებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულებების ზედამხედველობის განხორციელებისას ეროვნული ბანკი უფლებამოსილია: ა) ზედამხედველობა გაუწიოს კომერციული ბანკისა და არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულების საქმიანობას. ზედამხედველობა ითვალისწინებს ლიცენზიების გაცემასა და გაუქმებას, შემოწმებასა და რეგულირებას, წერილობითი მითითებების გაცემას, დამატებითი მოთხოვნების, შეზღუდვებისა და სანქციების დანესებას; ბ) ითხოვოს და იღებს ინფორმაციას კომერციული ბანკის კაპიტალის წარმოშობის წყაროებისა და მისი მნიშვნელოვანი წილის როგორც უშუალო მესაკუთრეების, ისე ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ; გ) ზედამხედველობა გაუწიოს და შეამოწმოს კომერციული ბანკი და არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულება, შეამოწმოს მათი შვილობილი საწარმოები, განახორციელოს ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების, ფინანსამოსილია ნსური ანგარიშგების კომპონენტებისა და სხვა მასალების აუდიტი და თავის მიერ განსაზღვრული ფორმით მიიღოს მათგან ნებისმიერი ინფორმაცია თავისი კომპეტენციის ფარგლებში. და სხვა საზედამხედველო უფლებამოსილებები. ზედამხედველობის განხორციელებისას ასევე უფლებამოსილია კომერციული ბანკისა და არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულების დროებით ადმინისტრატორს და ლიკვიდატორს ნიშნავს ეროვნული ბანკი, კომერციულ ბანკსა და არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულებას განუსაზღვრავს კაპიტალის მინიმალური ოდენობას და მისი გაანგარიშების წესს, კომერციული ბანკი და არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულება მხოლოდ ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით, შეიძლება გადახდისუუნაროდ ან/და გაკოტრებულად გამოცხადდოს, საერთაშორისო ფინანსური კომპანიის შემოწმებას ახორციელებს თავის მიერ დადგენილი სპეციალური წესის შესაბამისად, მხოლოდ იმ შეზღუდვების დაცვის

შესამონწმებლად, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით დაწესებულია საერთაშორისო ფინანსური კომპანიებისათვის.²⁹

საბანკო ჯგუფის საქმიანობის ზედამხედველობის მიზანია საფინანსო სექტორის სტაბილურობისა და საბანკო ჯგუფში შემავალი კომერციული ბანკის ჯანსაღი ფუნქციონირების ხელშეწყობა. საბანკო ჯგუფის საქმიანობის ზედამხედველობისას ეროვნული ბანკი უფლებამოსილია: შეამოწმოს საბანკო ჯგუფი, განახორციელოს ინსპექტირება როგორც ადგილზე შემოწმებით, ისე დისტანციური ზედამხედველობით, განახორციელოს ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების, ანგარიშგების კომპონენტებისა და სხვა მასალების აუდიტი როგორც ინდივიდუალურად, ისე კონსოლიდირებულად; სრულად მიუწვდებოდეს ხელი საბანკო ჯგუფის თითოეული წევრის სამეთვალყურეო საბჭოს, მენეჯმენტისა და თანამშრომლების შესახებ მონაცემებსა და დოკუმენტებზე; შეაფასოს საბანკო ჯგუფის რისკების პროფილი, რისკების მართვის ჩარჩო და საბანკო ჯგუფის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტიანობა. შეფასების ფარგლებში ეროვნული ბანკი უფლებამოსილია საბანკო ჯგუფის წევრისგან, აგრეთვე საბანკო ჯგუფთან დაკავშირებული ნებისმიერი პირისგან მოითხოვოს და მიიღოს მის ხელთ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური) საბანკო ჯგუფის და საბანკო ჯგუფთან დაკავშირებული სხვა პირის შესახებ, როგორც ინდივიდუალურად, ისე კონსოლიდირებულად, მათგან მომდინარე რისკების და საბანკო ჯგუფზე მათი გავლენის შეფასების მიზნით; დაადგინოს საბანკო ჯგუფის სტრუქტურის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, მათ შორის, მოითხოვოს კომერციული ბანკის მფლობელობის სტრუქტურის ან/და საბანკო ჯგუფის სტრუქტურის გამარტივება, თუ სტრუქტურის სირთულე აფერხებს ეფექტიანი ზედამხედველობის განხორციელებას ან/და საფრთხეს უქმნის ან შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომერციული ბანკის ან/და საფინანსო სექტორის სტაბილურობასა და ჯანსაღ ფუნქციონირებას; საბანკო ჯგუფში შემავალი კომერციული ბანკის ან/და საბანკო ჯგუფის ერთი ან/და კონსოლიდირებულად რამდენიმე წევრის მიმართ დაადგინოს: 1. მინიმალური კაპიტალის მოთხოვნები; 2. ლიკვიდობის მოთხოვნები; 3. მსხვილი

²⁹ საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ, მუხლი 48

რისკების შესაბამისი მოთხოვნები; 4. სხვადასხვა სახეობის კაპიტალის კლასიფიცირებულ აქტივებთან თანაფარდობა; ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებული მოთხოვნები; 5. კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული მოთხოვნები; 6. ანგარიშგებასა და აუდიტთან დაკავშირებული მოთხოვნები; 7. ადმინისტრატორის შესაფერისობის კრიტერიუმები. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ნორმატიული აქტით დაადგინოს საბანკო ჯგუფის კონსოლიდირებული ზედამხედველობის წესი.³⁰

საბაზრო დისციპლინის გაძლიერებისათვის მნიშვნელოვანია კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დანერგვა. ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები ბაზრის მონაწილეებისთვის ხელმისაწვდომს ხდის კომერციული ბანკის ძირითად ინფორმაციას, რაც განაპირობებს ბანკის წინაშე არსებული რისკებისა და საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის შესახებ გამჭვირვალობის ზრდასა და ნდობის ამაღლებას. ამ მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა საქართველოში მოქმედი ყველა კომერციული ბანკისა და უცხოური ბანკების ფილიალებისთვის. კაპიტალის ადეკვატურობასთან და ანაზღაურებასთან დაკავშირებული გამჟღავნების მოთხოვნები დაფუძნებულია პილარ 3-ზე, რომელსაც განსაზღვრავს „საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის“ ბაზელ III-ის ჩარჩო. თუ კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესი არ არეგულირებს ცალკეულ საკითხებს ან არ შეიცავს კონკრეტულ განმარტებას, ბანკებმა უნდა იხელმძღვანელონ „საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის“ სტანდარტებით. პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ბანკი გამოიყენებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სანქციებს.

ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპებია:

³⁰ საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ, მუხლი 49'

რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაციის გამოქვეყნებას კაპიტალის ადეკვატურობის, კორპორაციული მართვისა და რისკების მართვის შესახებ. ინფორმაციის გამოქვეყნება მოითხოვება კვარტალური და წლიური პერიოდულობით.

ბანკები ვალდებული არიან მათ მიერ წარმოდგენილ რაოდენობრივ ინფორმაციას დაურთონ შესაბამისი განმარტებები, საანგარიშგებო პერიოდებს შორის მომხდარი მატერიალური ცვლილებების ასახვას.

ინფორმაციის გამჟღავნებისას უნდა არსებობდეს ბალანსი მატერიალური ინფორმაციის გამჟღავნების საჭიროებასა და კონფიდენციალური ინფორმაციისა და კომერციული საიდუმლოების დაცვას შორის. გამონაკლის შემთხვევებში, თუ ამ წესით გარკვეული სახის ინფორმაციის გამჟღავნება საჯაროდ ხელმისაწვდომს გახდის ბანკის კონფიდენციალურ ინფორმაციას ან კომერციულ საიდუმლოებას, რამაც შესაძლოა, გამოიწვიოს ბანკის პოზიციის გამოვლენა ან შელახოს მისი სამართლებრივი უფლებები და ვალდებულებები, ბანკი არ არის ვალდებული, გაამჟღავნოს აღნიშნული ინფორმაცია. ასეთ შემთხვევებში, ბანკმა უნდა გამოაქვეყნოს შედარებით ზოგადი ინფორმაცია აღნიშნულ საკითხზე.³¹

ბანკის პილარ 3-ის ფარგლებში მომზადებული ანგარიშგებები ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაინტერესებული პირებისთვის. ამ მიზნით პილარ 3-ის კვარტალური და წლიური ანგარიშგებები ექვემდებარება ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნებას ბანკისა და ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდებზე.

ბანკის პილარ 3-ის ანგარიშგება უნდა გამოქვეყნდეს წლიურად და ყოველ კვარტალურად. პილარ 3-ის წლიური ანგარიშგება უნდა გამოქვეყნდეს წლიური ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე, ხოლო პილარ 3-ის კვარტალური ანგარიშგება – საანგარიშგებო კვარტლის დასრულებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

³¹ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისის ბრძანება №92/04 კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 3

ბანკის მიერ პილარ 3-ის ფარგლებში გამოქვეყნებული ინფორმაცია უნდა ექვემდებარებოდეს, სულ მცირე, იმავე დონის შიდა განხილვისა და კონტროლის პროცესებს, რასაც ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია.

ცალკეულ შემთხვევაში ბანკს შეუძლია ამ წესის მიხედვით მოთხოვნილი ინფორმაცია ან მისი ნაწილი გაამჟღავნოს პილარ 3-ის ანგარიშგებისაგან დამოუკიდებელ დოკუმენტში. ასეთ შემთხვევაში გამოქვეყნებული ინფორმაცია სრულად უნდა შეესაბამებოდეს პილარ 3-ის მოთხოვნებს ანგარიშგებაში მითითებული უნდა იყოს წყარო სადაც აღნიშნული ინფორმაციაა გამოქვეყნებული.

ბანკის სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი პასუხისმგებელია დანერგოს და შეინარჩუნოს ფინანსური ინფორმაციის, მათ შორის პილარ 3-ის ფარგლებში, გამჟღავნების შიდა კონტროლის ეფექტური სტრუქტურა. ამ წესის შესაბამის ანგარიშგების ფორმებს ეროვნული ბანკი განათავსებს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე ასევე ეროვნული ბანკს შეუძლია შეცვალოს ამ წესის შესაბამისი ანგარიშგების ფორმების გარკვეული ელემენტები.

3.3 უცხოური კაპიტალის მოზიდვის შესაძლებლობა და პერსპექტივები

უცხოური კაპიტალის შემოდინების სტიმულირების უზრუნველყოფისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება შემდეგი ნაბიჯების შესრულებას:

- 1) ქვეყნის, მისი ცალკეული რეგიონებისა და ეკონომიკის სხვადასხვა დარგების საინვესტიციო შესაძლებლობის საინფორმაციო უზრუნველყოფა;
- 2) მიწების გამოყოფის, პროექტების დაფინანსების და სხვა მოსახერხებელი სქემის ჩამოყალიბება;

3) უცხოელი ინვესტორის მიერ წარმოებულ საქონელზე პროტექციონისტული ტარიფების დანსება;

4) ძირითადი საშუალებები, რომლებიც საჭიროა საინვესტიციო პროექტის განხორციელებისათვის იმპორტით შემოტანისას გათავისუფლდეს გადასახადისგან;

5) ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსის გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევა;

6) საკანონმდებლო გარანტიები;

7) საგადასახადო შეღავათები.

უცხოური კაპიტალის შემოდინების სტიმულირების მეთოდების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ამ ინვესტიციებით გამოწვეული საერთო შემოსავალი ინვესტორის შემოსავალზე დიდია. თუ უცხოური ინვესტიციები ზრდიან ეროვნული ეკონომიკის მწარმოებლურობას, მაშინ პროდუქცია ნაწილდება შემდეგ სუბიექტებზე:

- ინვესტორზე;
- დაქირავებულ პერსონალზე;
- სასაქონლო ბაზრის გაჯერებაზე;
- წარმოების გაფართოებაზე;

მეტად მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ არსებობს ინვესტიციების სტიმულირების მეორე მხარეც. კერძოდ, ქვეყანაში, ან მის რეგიონში სტიმულების ზრდა, სავარაუდოდ, კონკურენტების შესაბამის რეაქციას გამოიწვევს და სხვა ქვეყნებიც ადეკვატურ წამახალისებელ ნაბიჯებს გადადგამენ. მეტიც, სტიმულების ზრდის დროს რეგიონმა შეიძლება გადააჭარბოს და შემოსავლის ის ნაწილი დაიკარგოს, რომელსაც იგი მიიღებდა კაპიტალდაბანდების იგივე დონის შენარჩუნების შემთხვევაში. ამიტომ, საჭიროა გვახსოვდეს, რომ საინვესტიციო გარანტიები მართალია აჩერებს ანტი-სტიმულების წარმოშობას, მაგრამ არ ზრდის საინვესტიციო ნაკადს რეგიონალურ ეკონომიკაში.³²

უცხოური კაპიტალის მოზიდვა დამოკიდებულია მოგების მიღებისა და ქვეყნის ფარგლებს გარეთ გატანის შესაძლებლობაზე. რაც შეეხება საგადასახადო სტიმულებს, როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, უცხოელი ინვესტორი დაინტერესებული არ არის

³² DELTA CAPITAL, უცხოური კაპიტალის შემოდინების სტიმულირება, <http://delta-capital.ge/news/id=62>

მოგებაზე საგადასახადო სტიმულების მოპოვებით. უფრო მეტად ინვესტორი დაინტერესებულია მოგების მიღებით. საგადასახადო შეღავათები არ წარმოადგენს ინვესტიციის მოზიდვის უმთავრეს სტიმულს, რაც აუცილებელი პირობაა ასეთი სტიმულების წარმოქმნისათვის. უცხოური კაპიტალის ექსპორტიორი გარანტიას ითხოვს შიდასახელმწიფოებრივი რისკებისგან დასაცავად, გარდა ამისა ითხოვს საინვესტიციო პირობების გაუარესებისა და საკუთრების ჩამორთმევის დაზღვევას. სანწყის ეტაპზე ინვესტიციის მიმღებ ქვეყანას შეუძლია ინვესტორს დაუთმოს პროექტის განხორციელების ასპროცენტიანი უფლება და არ მოითხოვოს კაპიტალში წილი, მაგრამ მომავლისათვის პროექტის განვითარებაში ქვეყნის შიდა კაპიტალისა და ეროვნული რესურსების თანდათანობით ჩართვის მოითხოვნის უფლება გააჩნია.

უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად დიდი მნიშვნელობა ენიჭება:

პირველი - ეროვნულ ეკონომიკაში არსებულ დაგროვების დონესა და ეროვნული ინვესტორის აქტივობას;

მეორე - უცხოური ინვესტიციების კონკურენტულ ბაზარზე ფრთხილი და ამასთანავე ნოვატორული მიდგომების გამოყენებას;

მესამე - ისეთ ეკონომიკურ გარემოს, სადაც მესაკუთრეს გააჩნია კაპიტალის დაცვისა და ზრდის გარანტიები.

რაც შეეხება უცხოური ინვესტიციების რეგულირებას მათი მოზიდვის შემდეგ, აუცილებელია ისეთი ზომიერი მიდგომების შემუშავება, რომელიც თანაბრად იქნება მისაღები, როგორც უცხოელი ინვესტორის, ასევე ქვეყნის ინტერესებისათვის.³³

საერთაშორისო ფინანსურმა გამოცემამ „გლობალ ფაინენს“ (Global Finance) საქართველო, ეკონომიკურ სტაბილურობაზე, მმართველობისა და ბიზნეს რეგულაციების ხარისხის მაჩვენებლებზე დაყრდნობით, ყველაზე დინამიური საინვესტიციო მიმზიდველობის მქონე ქვეყნებს შორის დაასახელა, საქართველო იმ ქვეყნებს მიაკუთვნა, რომლებიც საყურადღებო მკვეთრი ზრდისა და ინვესტორების მხრიდან ინტენსიური ინტერესიდან გამომდინარე. აღნიშნულ ჯგუფში საქართველო არის მოწინავე ევროპის ქვეყნებს შორის. აღნიშნული შეფასებ ეყრდნობა ხუთ

³³ DELTA CAPITAL, უცხოური კაპიტალის შემოღების სტიმულირება, <http://delta-capital.ge/news/id=62>

ეკონომიკურ კომპონენტს: მშპ-ს ზრდის პროგნოზს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ცვლილებას, კორუფციის აღქმას ქვეყანაში, ქვეყნის კონკურენტუნარიანობას და ბიზნესის კეთების სიმარტივეს.³⁴

საქართველოში სამეურნეო გარდაქმნების პერიოდში სანარმოო სექტორის ფინანსური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. შესაბამისად შემცირდა, რიგ შემთხვევაში საერთოდ შეწყდა ინვესტიციები. ინტენსიური ხასიათი მიიღო დაგროვების დეფიციტმა. სანარმოთა მოგებამ დაკარგა ინვესტიციური ფუნქცია მისი უმნიშვნელო მოცულობის გამო. მაღალი საპროცენტო განაკვეთის პირობებში, რომელსაც ძირითადად ზედმეტად მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა განაპირობებს, საბანკო კრედიტი განსაკუთრებით ხელმიუწვდომელია წვრილი და საშუალო მენარმისათვის. ამასთან, კრედიტი ძირითადად მოკლევადიანია, რის გამოც იგი ხშირად გამოიყენება არა წარმოების სფეროში, არამედ სავაჭრო საშუაშაველო სექტორში.

აუცილებელია, პირველ რიგში, გავაანალიზოთ საქართველოში ღრმა ინვესტიციური კრიზისის მიზეზები და გამოვლინების ფორმები. ამის საფუძველზე უნდა დავსახოთ ინვესტიციური საქმიანობის გააქტიურების კონკრეტული ღონისძიებები.


ბოლო წლებში შედარებით სწრაფად იზრდება ინვესტიციები მომსახურების სფეროშიც. მომსახურების სფეროში კაპიტალდაბანდებათა ხვედრითი წონის გადიდება შეიძლება ავსხნათ თანამედროვე საინვესტიციო პროცესის იმ ერთ-ერთ დამახასიათებელ ტენდენციასთან დამთხვევით, რომელიც განვითარებულ ქვეყნებში აღინიშნება. მაგრამ საქართველოში ამ მოვლენას თან ახლავს საინვესტიციო საქმიანობის მკვეთრად შემცირება მატერიალურ-ნივთობრივ წარმოების სფეროში, რაც მისი ტექნიკურეკონომიკური ბაზის ფიზიკურად და მორალურად მოძველებას იწვევს. მაგალითად, მრეწველობაში ძირითადი კაპიტალის ცვეთამ უკვე გადააჭარბა 50%-ს, ბევრ დარგში კი სანარმოო სიმძლავრეები ისეთ მდგომარეობაშია, რომელსაც

³⁴ Allmedia, "Global Finance-მა საქართველო ყველაზე დინამიური საინვესტიციო მიმზიდველობის მქონე ქვეყანებს შორის დაასახელა", მოიძიებულია: 08.07.2019, <https://allmedia.news/ekonomika/97042-global-finance-%E1%83%9B%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D-%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94-%E1%83%93/>.

შესაძლოა მწყობრიდან მათი მასობრივად გამოსვლა მოჰყვეს. ინვესტიციების მოცულობა მარტივი კვლავწარმოების მოთხოვნებსაც კი ვერ აკმაყოფილებს.

საინტერესოა იმ გარემოებების შესწავლა, თუ რა უშლის ხელს საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოსვლას. ამასთან მიმართებაში უნდა აღინიშნოს, რომ დღეს საქართველოში სრული სიზუსტით ნათელი არ არის საფინანსო ბაზრის სუბიექტების პოზიციები, მცირეა მტკიცე ფინანსური მდგომარეობის ბანკები, პრაქტიკულად არ არსებობს კერძო საპენსიო ფონდები, სადაზღვეო ფონდები სრულყოფილად ვერ ახორციელებენ მათზე დაკისრებულ ფუნქციებს; ამგვარად, საფინანსო ბაზრის თითქმის ყველა ობიექტი ჩვენთან ჩანასახოვან მდგომარეობაშია. ეკონომიკას ესაჭიროება სტრატეგიული ინვესტორები და არა ე.წ. „ცხელი ფულის“ დამანგრეველი შემოდინება და გადინება.

დიაგრამა №5. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2013-2017 წწ.³⁵




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

თუ ვიმსჯელებთ, 2017 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები ასე განაწილდა:

³⁵ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მოძიებულია: 08.07.2019, <https://www.geostat.ge/ka>

დიაგრამა №6. ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2017 წლის მიხედვით³⁶



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


სამი უმსხვილესი სექტორის წილმა 2017 წელს 60.5 პროცენტი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში განხორციელდა და 527.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 28.3 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება საფინანსო სექტორი 304.3 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე - მშენებლობა 294.6 მლნ. აშშ დოლარით.

მნიშვნელოვანია, რომ ამ წინააღმდეგობის დასაძლევად შემუშავდეს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის დასაბუთებული სტრატეგია, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ინვესტიციების მოზიდვის მოტივაციური მექანიზმი. მისი შემადგენელი ნაწილია უცხოელი ინვესტორებისათვის მისაღები ეკონომიკური პირობები, სამართლებრივი და ადმინისტრაციული რეჟიმი. ამასთან, ამგვარი პირობები და რეჟიმი სასწრაფოდ უნდა დამუშავდეს, თორემ სტრატეგიული ინვესტორი შეიძლება რამდენიმე წლის შემდეგ

³⁶ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მოძებულია: 08.07.2019, <https://www.geostat.ge/ka>

მოვიდეს, ის კი დღესაა საჭირო. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მთელ მსოფლიოში კონკურენცია არსებობს უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში.

დიაგრამა №7. ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2017 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული განაწილება³⁷



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ზოგადად, ინვესტორებს ჩვენს ქვეყანაში დიდი არჩევანი არ აქვთ. მათ ან ისეთ კომპანიებში უნდა დააბანდონ ფული, რომლებიც დიდი ხანია კარგადაც მუშაობენ და თვით იცავენ საკუთარ უფლებებს, ან გარისკონ და რომელიღაც სრულიად ახალ, უცნობ საქმეში მოახდინონ ინვესტირება, რომლის პერსპექტივებაც გაურკვეველია. საქართველოში საპირისპირო ვითარება ყალიბდება. წარმოებაში ფულის დაბანდებას ინვესტორები სარისკოდ მიიჩნევენ, რადგან კონტრაქტები ხშირად არ სრულდება და საგადასახადო კანონმდებლობა ხშირად იცვლება.

ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოღინებას, არსებულ საკანონმდებლო ბაზასთან ერთად, საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობაც უწყობს ხელს [იგი უძველესი „აბრეშუმის გზის“ ერთ-ერთი საკვანძო პუნქტია). მსოფლიო

³⁷ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მოძიებულია: 08.07.2019, <https://www.geostat.ge/ka>

ბაზრების დამაკავშირებელი საზღვაო, სარკინიგზო, საავტომობილო და მილსადენი მარშრუტები საქართველოში წარმოებული ბიზნესისათვის სატრანსპორტო ხარჯების შემცირებისა და ფართო საერთაშორისო კავშირების განვითარების წინაპირობაა. საქართველოს ენერჯეტიკაში უცხოელთა საქმიანობით დასტურდება, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში უცხოური კაპიტალის ინვესტირება, უპირატესად, პირდაპირი კერძო ინვესტიციების, ანუ სამენარმეო კაპიტალის ფორმით ხორციელდება. ასეთ შემთხვევაში ქვეყანაში შემოდის არა მარტო უცხოური კაპიტალი, არამედ უცხოელი მენარმეც, ინვესტორი, რომელიც თვითონ აბანდებს ამ კაპიტალს საქართველოში და, შესაბამისად, თვითონ ხდება შექმნილი საწარმოო ობიექტების მესაკუთრეც. ცხადია, უცხოელი ინვესტორები იმიტომ იწყებენ საქართველოში საქმიანობას, რომ მიიღონ მოგება, დაიკავონ ბაზარი, იქონიონ აქ მუდმივი და სტაბილური შემოსავლების წყარო.

სამწუხაროდ, საქართველოს მოსახლეობის შემოსავლებისა და დანაზოგების დონე რეფორმის პერიოდში მკვეთრად შემცირდა, რაც, რა თქმა უნდა, უარყოფითად მოქმედებს ინვესტიციური სქმიანობის გააქტიურებაზე. იგივე უნდა ითქვას საწარმოების შემოსავლებისა და მოგების შესახებ. საწარმოების დიდი უმრავლესობის ფინანსური მდგომარეობა ეკონომიკის რეფორმირების პირობებში საგრძნობლად გაუარესდა. ეს გამოვლინდა რეალური მოგების შემცირებით, ზარალიანი საწარმოების გადიდებით, მათი დავალიანებისა და არგადახდების ზრდით.

ინვესტიციების სახელმწიფო დაფინანსების სიმცირე. მაკროეკონომიკური არასტაბილურობისა და წარმოების საერთო დაცემის ფონზე სუსტია ქვეყნის საინვესტიციო აქტიურობა, ამასთან, ამ სფეროში შექმნილი სურათი არაერთგვაროვანია. ამგვარად, გარდამავალ პერიოდში საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურებისათვის აუცილებელია ინვესტიციური კრიზისის გამომწვევი ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების აღმოფხვრა.

დასკვნები და რეკომენდაციები

საქართველოს საბანკო სექტორის კაპიტალიზაციისა და მდგრადობის განხილვის საფუძველზე შეიძლება თვალსაჩინო გახდეს შემდეგი სურათი.

➤ ვინაიდან საფინანსო შუამავლები ფინანსური ბაზრების დიდ ნაწილს წარმოადგენს, მისი ფუნქციონირება მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკისათვის. საფინანსო შუამავლების განვითარება და მათი ზრდა განაპირობებს ჯანსაღი კონკურენციული გარემოს ჩამოყალიბებას, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას.

➤ საბანკო სექტორის მდგრადობა გადამწყვეტია საბაზრო ეკონომიკის სხვა ფინანსური ინსტიტუტებისთვისაც. საბოლოო ჯამში, მასში აისახება კონკურენციულ გარემო პირობებში ყველა ეკონომიკური სუბიექტის ურთიერთობები ეკონომიკის სტაბილიზაციის მიღწევის პროცესში. ქვეყნის ეკონომიკაზე რეალურად ზემოქმედების ფაქტორებიდან განსაკუთრებული ადგილი უკავია საბანკო სისტემის ფუნქციონირების ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის პირობების განსაზღვრას.

➤ საბანკო სექტორში მნიშვნელოვანია ბანკების კლასიფიკაცია. საბანკო სექტორში შემავალი კომერციული ბანკები ასრულებენ პრაქტიკულად ყველა სახის საბანკო ოპერაციებს. **კომერციული ბანკები** წარმოადგენენ საკრედიტო სისტემის ძირითად რგოლს. **შემნახველი ბანკები** რომლებიც არიან ადგილობრივი დანიშნულების საშუალო საკრედიტო დანესებულებები, **საინვესტიციო ბანკები** სპეციალიზირდებიან საემისიო-სადამფუძვნებლო ოპერაციებზე, **იპოთეკური ბანკები** ისეთი სახის დანესებულებებს წარმოადგენენ, რომლებიც გრძელვადიან კრედიტებს გასცემენ უძრავი ქონების სანაცვლოდ, **სამინათმოქმედო ბანკები** სპეციალიზაციას ახდენენ აგრარულ სექტორში, სპეციალური სავაჭრო ბანკები და სხვ.

➤ თანამედროვე სკრედიტო-საფინანსო სისტემა შემდეგ ძირითად მიმართულებად იყოფა: **საკუთრების ფორმების მიხედვით**: სახელმწიფო; აქციონერულ; კერძო; კორპორაციულ; მუნიციპალურ სახელმწიფოთაშორის და შერეულ ბანკები; **სამართლებრივი ფორმების მიხედვით**: ღია და დახურული ტიპის სააქციო საზოგადოებები და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები; **ფუნქციონალური დანიშნულებით**: კერძო და საემისო ბანკები. **საქმიანობის ხასიათის**

მიხედვით: უნივერსალურ და სპეციალიზებულ საბანკო ორგანიზაციები. **მომსხურების სახეობების, სპეციალიზაციის მიხედვით ცნობილია:** საინვესტიციო ბანკები, კომერციული ბანკები, სადეპოზიტო ბანკები, საშუალო და გრძელვადიანი დაკრედიტების ბანკები, იპოთეკური ბანკები, სასესხო შემნახველი ბანკები, ვენჩურული ბანკები, დანაზოგები და ბიძნესის ნიშნით სპეციალიზაცია, **ტერიტორიული ნიშნის მიხედვით:** ადგილობრივი, რეგიონული, ნაციონალური და ტრანსნაციონალური ბანკები; **ფილიალების რაოდენობის მიხედვით:** ბანკები ფილიალების და ფილიალების გარეშე. **საქმიანობის მასშტაბის მიხედვით:** მცირე, საშუალო, მსხვილი, საბანკო კორსორციუმი და ბანკთაშორისი გაერთიანებები.

➤ ქვეყნის საფინანსო-საკრედიტო სისტემაში მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს საბანკო რეგულირება, რომელიც, თავის მხრივ, არის ბანკების მიმართ მოთხოვნათა დაცვის სპეციფიკური სისტემა. იგი განსახვავდება იმ მოთხოვნებისაგან, რომელიც წაყენებათ სხვა იურიდიულ პირებს. კონტროლი იმ სპეციფიკური მოთხოვნების დაცვაზე, რომლებიც ბანკებს ეკისრებათ, წარმოადგენს საბანკო ზედამხედველობის არსს ფართო გაგებით, ხოლო ვიწრო გაგებით საბანკო ზედამხედველობა, განვითარებული ქვეყნების საკანონმდებლო აქტებიდან გამომდინარე, ეს არის - იმ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლითაც სახელმწიფო რწმუნებული ორგანო არეგულირებს და კონტროლს უწევს საკრედიტო ორგანიზაციებისთვის დაწესებული ეკონომიკური ნორმატივების დაცვას, კერძოდ, აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი სახსრების მდგომარეობას.

➤ ბოლო წლების შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოში საგრძნობლად გაფართოვდა და განვითარდა საბანკო სექტორი, თუმცა ბანკების დიდი ნაწილი ვერ ასტიმულირებს ქვეყნის ეკონომიკის ზრდას და განვითარებას, შედეგად დასაქმების დონე უნდა გაიზარდოს. ბანკების სწორად დაფინანსებას შეუძლია როგორც ეკონომიკის განვითარება და დასტაბილურება ისე მისი ჩამოშლა. ამრიგად ქვეყნის ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანია რეალური პროექტების და იდეების დაკრედიტება-დაფინანსება, ბანკების გააქტიურების მიზნით. 1. ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გატარება:

2. კომერციული ბანკების მიერ მცირე ბიზნესის დაკრედიტება; ინოვაციური პროექტების მოძიება და დაკრედიტება; 3. ახალგაზრდების საქართველოში დასაქმების პროექტების შემუშავება მთვრობასთან ერთად და მათი დაკრედიტება დაბალი საპროცენტო განკვეთიანი სესხებით.

➤ მსოფლიო გამოცდილებით საბანკო საქმის წარმატებული წარმართვისათვის აუცილებელია საბანკო რეგულირების ოთხი ძირითადი პრინციპის დაცვა. ესენია:

1. საბანკო რეგულირება უნდა იყოს სისტემური და საყოველთაო ხასიათის, რათა ბანკების ფინანსური მდგომარეობის შეფასება დროული და რეალური იყოს;
2. ბანკი უნდა იყოს ეკონომიკურად სრულიად თავისუფალი ერთეული,
3. ბანკსა და მის კლიენტებს შორის ურთიერთობები საბაზრო ურთიერთობების პრინციპების შესაბამისად უნდა იწარმოებოდეს და ბანკის კომერციული ინტერესები საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს.
4. ბანკის საქმიანობის რეგულირება უნდა ექვემდებარებოდეს არაპირდაპირ ეკონომიკურ მეთოდებს, სახელმწიფო მხოლოდ თამაშის წესებს განსაზღვრავდეს და არ უნდა იძლეოდეს ბრძანებებს.

➤ როგორც უკვე ავლნიშნეთ კაპიტალიზაცია ესაა კაპიტალის მოცულება, რომელიც განისაზღვრება საბაზრო ღირებულებით. კაპიტალიზაციის ზრდა არა მარტო საწარმოების ფინანსურ პრობლემებს გადაჭრის, არამედ იგი ახდენს სხვადასხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტების დანაზოგების ფორმირებას. ამიტომაც სახელმწიფო ხელს უნდა უწყობდეს კაპიტალიზაციის ზრდას. კაპიტალიზაციის მაჩვენებელი არის ბანკის საქმიანობაზე ზემოქმედების გამომხატველი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. კაპიტალიზაციის შეფასებით ხდება კომერციული ბანკების საბაზრო რეიტინგის განსაზღვრა. იგი მის საკრედიტო მიზიდულობის პირობას ქმნის. კაპიტალიზაცია ინვესტიციური მიმზიდველობის მაჩვენებელია. დანაზოგების ტრანსფორმირება ინვესტიციებში კაპიტალიზაციის მაჩვენებელია და არის ძალიან მნიშვნელოვანი, რამდენადაც მის ზომასა და მასშტაბებზეა დამოკიდებული ეკონომიკის განვითარება.

➤ საბანკო რეგულირებისა და ზედამხედველობის მთავრია მიზანია საბანკო სისტემის სტაბილურობის შენარჩუნება, კომერციული ბანკების საიმედოობის და მდგრადობის უზრუნველყოფა, შესაძლო რისკის თავიდან აცილება და ამ გზით კომერციული ბანკების, მენაბრეთა და სხვა კრედიტორთა, აგრეთვე საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს ინტერესების მაქსიმალურად დაცვა. საბანკო ზედამხედველობის მარეგულირებელი ორგანოს ამოცანაა, ასევე მომხმარებლის უფლებათა დაცვა, ვინაიდან მომსახურების ხარისხობრივი მაჩვენებელი არის კომერციული ბანკების მომსახურება ან არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებების საიმედოობა. ამრიგად, საბანკო ზედამხედველობის მთავარი ამოცანაა არა კონკრეტული კრედიტების და მენაბრების დაცვა, არამედ საბანკო სისტემის სტაბილურობის შენარჩუნება.

➤ როგორც უკვე ავღნიშნეთ ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია უცხოური კაპიტალის შემოდინება. უცხოური კაპიტალის შემოდინების სტიმულირების უზრუნველყოფისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება შემდეგი ნაბიჯების შესრულებას:

- 1) ქვეყნის, მისი ცალკეული რეგიონებისა და ეკონომიკის სხვადასხვა დარგების საინვესტიციო შესაძლებლობის საინფორმაციო უზრუნველყოფა;
- 2) მიწების გამოყოფის, პროექტების დაფინანსების და სხვა მოსახერხებელი სქემის ჩამოყალიბება;
- 3) უცხოელი ინვესტორის მიერ წარმოებულ საქონელზე პროტექციონისტული ტარიფების დაწესება;
- 4) ძირითადი საშუალებები, რომლებიც საჭიროა საინვესტიციო პროექტის განხორციელებისათვის იმპორტით შემოტანისას გათავისუფლდეს გადასახადისგან;
- 5) ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსის გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევა;
- 6) საკანონმდებლო გარანტიები;
- 7) საგადასახადო შეღავათები.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეს საქართველოში სრული სიზუსტით ნათელი არ არის საფინანსო ბაზრის სუბიექტების პოზიციები, მცირეა მტკიცე ფინანსური

მდგომარეობის ბანკები, პრაქტიკულად არ არსებობს კერძო საპენსიო ფონდები, სადაზღვეო ფონდები სრულყოფილად ვერ ახორციელებენ მათზე დაკისრებულ ფუნქციებს; ამგვარად, საფინანსო ბაზრის თითქმის ყველა ობიექტი ჩვენთან ჩანასახოვან მდგომარეობაშია. ეკონომიკას ესაჭიროება სტრატეგიული ინვესტორები და არა ე.წ. „ცხელი ფულის“ დამანგრეველი შემოდინება და გადინება. სწორედ ეს გარემოებები უშლის ხელს საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოსვლას. სახელმწიფომ ყველა ღონე უნდა გამოიყენოს ამ გარემოებების გასაუმჯობესებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაქრაძე.გ “2007-2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის მიზეზები და ინტერპრეტაციები”, სტატია, გვ. 8
2. ბარბაქაძე.ხ ბანკების საქმიანობის რეგულირების ცნება და ეკონომიკური მნიშვნელობა, სტატია <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL1.7&d=HASHf556b9ce00fb24a2b8b577.3&x=1>
3. დუშაშვილი.თ, საბანკო სექტორის მნიშვნელობა ეკონომიკისათვის“, <http://forbes.ge/blog/125/sabanko-seqtoris-mniSvneloba-ekonomikisaTvis>, მოძიებულია 20/05/2019
4. ელიავა.ლ, “საბანკო კრიზისების პროგნოზირება”, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2013, გვ. 11
5. კოვბანაძე.ი, კონტრაძე.გ. „თანამედროვე საბანკო საქმე“, თბილისი, 2014 გვ 68-70
6. კუნჭულია.პ, „ფინანსური მენეჯმენტის თავისებურებანი კომერციულ ბანკში“, ივენე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2013, გვ. 18-19 თბილისი 2013, გვ. 18-19
7. მოსიაშვილი.ვ ლომიძე.ფ ქოქოსაძე.ვ. “საბანკო საქმე”, თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის, თბილისი 2009, გვ. 89
8. მუშკუდიანი.ზ, „საბანკო სექტორის მდგრადობის როლი ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფაში“, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი 2015, გვ. 8-11

9. საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს ეროვნული ბანკი, მოძიებულია: 08.07.2019, <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2>
10. საქართველოს ეროვნული ბანკი, „საქართველოს საბანკო სისტემის განვითარების სტრატეგის 2006-2009 წლებისათვის“, სტატია, თბილისი 2006, გვ. 19
11. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისი ბრძანება №92/04 კომერციული ბანკების მიერ ჰილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 3
12. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ მუხლი 49'
13. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მოძიებულია: 08.07.2019, <https://www.geostat.ge/kaჩუთლაშვილი.ა, ბარბაქაძე.ბ> „ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები“, ივენე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2016 გვ 46
14. ჭილაძე.ი „საქართველოს და კომერციული ბანკების ეკონომიკური ზრდის შედარება“ .https://www.researchgate.net/publication/324485801_sakartvelos_da_komert_siuli_bankebis_ekonomikuri_zrdis_shedareba მოძიებულია 15/04/2019
15. Allmedia, “Global Finance-მა საქართველო ყველაზე დინამიური საინვესტიციო მიმზიდველობის მქონე ქვეყანებს შორის დაასახელა”
<https://allmedia.news/ekonomika/97042-global-finance-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94-%E1%83%93/>
16. DELTA CAPITAL, უცხოური კაპიტალის შემოდინების სტიმულირება, <http://delta-capital.ge/news/id=621>